საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვალა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 ივნისი, 2015 წელი.

№105 (7750)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

MAGTICOM

მაგთიკომი არ ჩასვამს პალიტრა TV-ს მაგთისატის სამომხმარებლო პაკეტში, სანამ პალიტრა TV არ უზრუნველყოფს სამაუწყებლო სიგნალის გეოსტაციონარულ ორბიტაზე მყოფ თანამგზავრამდე ატვირთვის საფასურის გადახდას, რისი ვალდებულებაც დაადგინა კანონიერ ძალამი შესულმა სასამართლო გადაწყვეტილებამ (საქმე №3/672-14), მიუხედავად იმისა, თუ რა სტატიებს გამოაქვეყნებს პალიტრა მედია მაგთიკომის შესახებ.

არჩილ გეგეშიძე:

თუ ერთსულოვანი ვიქნებით, ③ ამერიკელების დახმარება და თანადგომა კიდევ უფრო გაიზრდება

მეცნიერების დაფინანსებაში კერძო სტრუქტურები ჩაებმებიან ④

მივხედოთ მთიელს და ის მიხედავს მთას!



⑨

მაღალმთიან რაიონებში ახლად შექმნილ ოჯახებს სახელმწიფო 10 ათასი ლარით დააფინანსებს

◎ დღის ამოკრეზურიდან

– ერთადერთი, რაც ნამდვილად სწორად გადაწყვიტა საკაშვილმა, უკრაინის მოქალაქეობის მიღებით საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმაა. თავისი დანაშაულებრივი წარსულის გათვალისწინებით ის შინაგანად მიხვდა, რომ საქართველოს მოქალაქეობის ღირსი არ არის, თუმცა, ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად პასუხი არ აგოს ცხრაწლიანი უამრავი ბოროტმოქმედებისათვის...

საწყალი ოდესა და კიდევ უფრო საწყალი ოდესელები!...

რა პოტენციალი აქვს ქართულ ⑤ პროდუქციას მსოფლიო ბაზრებზე?

ტორტის ნაჭრების გადანაწილება თუ... ④

შემოდგომაზე საქართველოს ახალი მინისტრთა კაბინეტი ეყოლება?

„ჩვენს ქალაქში ყველაფერი მოსულა“, ანუ გიგაური ხაინდრავას „გამჭვირვალე“ უჩივის ②

რამდენად ითხოვენ ეროვნულ სამოსელს ქართულ ბაზარზე

⑥

„სამეფო გვირგვინი“ – ერის სადარაჯოზე

◎ ალიან-ჩალიანი

რუსეთი უნდა შეეგუოს, რომ საქართველოს თავისი სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები აქვს

ამის შესახებ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ვახტანგ კაპანაძემ ნატოს სტრატეგიული სამხედრო პარტნიორობის კონფერენციის ფარგლებში, საფრანგეთის საჰაერო ძალების გენერალთან ჟან-პოლ პალომეროსსთან გამართულ ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე, რუსეთის საფრთხის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

„ ჩვენ გვაქვს უფლება, დავიცვათ ჩვენი ქვეყანა, ვიყოთ იმ პარტნიორებთან, ვისთანაც ჩავთვლით საჭიროდ, განვახორციელოთ ის სწავლებები და წვრთნები, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის და არა შეტევითი პოტენციალის გაზრდისკენ“, — განაცხადა ვახტანგ კაპანაძემ. მისივე თქმით, საქართველოს აქვს თავისი გეგმა, რომელსაც მიჰყვება და მჭიდროდ თანამშრომლობს თავის პარტნიორებთან.

ბალტიის ასამბლეა რუსეთსა და საოკუპაციო რეჟიმებს შორის გაფორმებულ ე.წ. შეთანხმებებს გმობს

„ბალტიის ასამბლეა კვლავ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში“, — ნათქვამია განცხადებაში.

ბალტიის ასამბლეა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის, კონსტრუქციულად ჩაერთოს ჟენევის მოლაპარაკებათა პროცესში, და მისცეს როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, ასევე ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შესვლის შესაძლებლობა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული ე.წ. ხელშეკრულება და რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონებს შორის მანამდე გაფორმებული შეთანხმებები ცალსახად არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და რუსეთის ფედერაციის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს.

დანიაში საქართველოს საკონსულო გაიხსნა

დანიის სამეფოში, იუტლანდიის რეგიონში საქართველოს საკონსულო დაწესებულება ოფიციალურად გაიხსნა. წარმომადგენლობას ჰორსენსის მუნიციპალიტეტში საქართველოს საპატიო კონსული მარიანე ბოლსი ხელმძღვანელობს.

საზეიმო ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის, ჰორსენსის მერი პიტერ სორენსენი და ჰორსენსის ბიზნეს საბჭოს თავმჯდომარე ტორბენ ბუსკი დაესწრნენ, ასევე, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ადგილობრივი ბიზნესწრეების, მედიასაშუალებების წარმომადგენლები და დანიაში მცხოვრები ქართველები. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ჰორსენში საქართველოს საპატიო კონსულმა, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნიკოლოზ რთველიაშვილმა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 34%-ით შემცირდა

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ 2015 წლის I კვარტალის წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წლის I კვარტალში 175 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2014 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 34 პროცენტით ნაკლებია.

საქსტატის ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, 2015 წლის I კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 444 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2015 წლის I კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების პროცენტული სტრუქტურის მიხედვით, პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება — 34 პროცენტით, მეორეზე თურქეთი — 15 პროცენტით, ხოლო მესამეზე რუსეთი — 13 პროცენტით.

უმსხვილესი სექტორების წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2015 წლის I კვარტალში 97 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 146 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 83 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობა 24 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე — სამთომოპოვებითი მრეწველობა 18 მლნ. აშშ დოლარით.

◎ SIC!

გადასახადი გადასახადები

გადასახადებთან დაკავშირებით ბოლო დროს უამრავი ვარიანტი იხილება და კიდევ უფრო მეტი აზრი იფრქვევა. ხელისუფლებას გადაწყვეტილების მიღება მალე მოუწევს. პირველ რიგში, აქცენტი მოგების გადასახადის გაუქმებასა და პროგრესული გადასახადის შემოღებაზე კეთდება.

„მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაციის“ ხელმძღვანელი მიხეილ ჭელიძე პროგრესული გადასახადის წინააღმდეგია. იგი ამბობს, რომ ამ გადასახადის ლოგიკას ვერ ხედავს და ეს საქართველოს ბიზნესგარემოზე უარყოფითად აისახება.

„მეტი ვისაც აქვს, იმან რა დააშავა? იმან გამოიმუშავა, შექმნა ბიზნესი და მეტი შემოსავალი მიიღო, იმან მეტი რატომ უნდა გადაიხადოს? საუბარი მიდის, რომ 2017 წლიდან მოგების გადასახადი უნდა გაუქმდეს და პროგრესული გადასახადი არის უკან გადადგმული ნაბიჯი. ეს არის სოციალიზმის კლასიკური გამოვლინება და არ გვინდა სოციალიზმი, ვნახეთ რაც არის“, — აცხადებს ჭელიძე.

მისი აზრით, მსგავსი სისტემის შემოღება საქართველოში არ გაამართლებს, რადგანაც საქართველო ეძებს ისეთ ნიშს, რომელიც დაბალი გადასახადებით უფრო მეტ ინვესტორს მიიზიდავს.

„ჩინეთი რატომ განვითარდა? იმიტომ, რომ ამ გადასახადებს გაურბოდა ამერიკელი, ევროპული ბიზნესი, შესაბამისად, წავიდნენ იქ, სადაც ეს პრობლემა არ იყო. იგივე გვინდა, რომ საქართველოშიც გაკეთდეს. აქ ყველაფერი მარტივი უნდა იყოს — რეესტრი მარტივია, ბანკში ანგარიშების გახსნა მარტივია, საბაჟო იდეალურად მუშაობს“, — აღნიშნავს ჭელიძე და დასძენს, რომ ასეთი გადასახადის შემოღების შემთხვევაში კორუფციის საფრთხე გაჩნდება და ხალხი გადასახადის დამალვას დაიწყებს.

მეორე მხრივ კი, ბიზნესი მოგების გადასახადის, რაც შეიძლება სწრაფად გაუქმებას ითხოვს. სხვათა შორის, ამის წინააღმდეგი არც მთავრობაა, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მაინც ვერ მისულა. „გადასახადის გადამხდელთა კავშირს“ იმედი აქვს, რომ ხელისუფლება ყველაფერს ადეკვატურ დროში მოახერხებს.

მათი აზრით, მოგების გადასახადის ერთბაშად გაუქმება, სავარაუდოდ, მართლაც გამოიწვევს დროის გარკვეულ მონაკვეთში რამდენიმე ასეული მილიონი ლარის დანაკლისს. ამიტომ „გადასახადის გადამხდელთა კავშირი“ გამოდის ინიციატივით — მოგების გადასახადი ეტაპობრივად შემცირდეს მის საბოლოო გაუქმებამდე.

„მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ცვლილებების შედეგად, გაიზრდება ეკონომიკური აქტივობა, კერძო სექტორს მიეცემა გაფართოებისა და კაპიტალიზაციის გაზრდის საშუალება, რაც, თავის მხრივ, საგრძნობლად გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლებს სხვა გადასახადებიდან.

ჩვენი ინფორმაციით, მთავრობა განიხილავს არა ესტონურ მოდელს, რომელიც მოგების გადასახადის აბსოლუტურ გაუქმებას გულისხმობს, არამედ მხოლოდ რეინვესტირებული მოგების დაბეგვრისგან გათავისუფლებას. ეს კი, თავის მხრივ, გაართულებს და გააძვირებს საგადასახადო ადმინისტრირებას, ვინაიდან სადავო საკითხებს დაემატება კიდევ ერთი, რეინვესტირების განსაზღვრის წესები. შედეგად, ეს ცვლილება შესაძლოა, კონტრპროდუქტიულიც კი აღმოჩნდეს და გაზარდოს კორუფციის რისკი.

ამიტომ მოვუწოდებთ ჩართულ მხარეებს, აქცენტი მხოლოდ ესტონურ მოდელზე გაკეთდეს, რომელიც ყველაზე მარტივ და ეფექტიან გზას გვთავაზობს. გვინდა, ხაზი გავუსვათ, რომ „გადასახადის გადამხდელთა კავშირი“ მხარს უჭერს გადასახადების შემცირების ყველანაირ ფორმას, თუმცა, რეფორმის პროცესში აუცილებელია ყველა ვარიანტის განხილვა და მათ შორის ოპტიმალური ვარიანტის არჩევა. საბოლოო ჯამში, საქართველომ უნდა გააგრძელოს დაბალი გადასახადებისა და დაბალი ბიუროკრატიის პოლიტიკა, რომელიც ხელშემწყობი ფაქტორი იქნება სწრაფი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად“, — ნათქვამია „გადასახადის გადამხდელთა კავშირის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

დანიელ ბექაური

„ჩვენს ქალაქში ყველაფერი მოსულა“, ანუ გიგაური ხაინდრავას „გამჭვირვალედ“ უჩივის

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელმა ეკა გიგაურმა გოგა ხაინდრავას თბილისის საქალაქო სასამართლოში უჩივლა. როგორც გოგა ხაინდრავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სასამართლო პროცესი უახლოეს 10 დღეში დაინიშნება.

„თბილისის საქალაქო სასამართლოდან მივიღე გზავნილი, გავეცანი მის შინაარსს და ცხონებული ნიკუშა გომელაურის ლექსი გამახსენდა, რომელიც ამბობს, რომ ამ ქალქში ყველაფერი მოსულა, ბონდომ ჯონდო დააორსულაო. ძალიან უხდება დღევანდელ ყოფას და ვითარებას ნიკუშას ეს ლექსი. კაპიტანმა გიგაურმა სასამართლოში მიჩივლა და მომივიდა გზავნილი, სადაც საუბარია იმაზე, რომ პატივისა და ღირსების შელახვისთვის ითხოვს 30 თეთრს, ანუ 30 ვერცხლს და ბოდიშის მოხდას. რაც შეეხება 30 ვერცხლს, მისამართი შეეშალა, მე ნამდვილად არ ვაპირებ და მას უკვე მიღებული აქვს ბევრი ასეთი 30 ვერცხლი იმ ადამიანებისგან, ვინც ვერცხლებს არიგებენ. რაც შეეხება ბოდიშის მოხდას, ბოდიშის მოხდას მთხოვს ის ადამიანი, რომელიც ადამიანის უფლებებზე მუშაობს“, — განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

მისი თქმით, დოკუმენტში, რომელიც საქმეს აქვს დართული, წერია, რომ 2007 წლის 13 ნოემბრის წერილის საფუძველზე, ვანო მერაბიშვილი სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილეს, უფროს ლეიტენანტ ეკა გიგაურს ვადაზე ადრე ანიჭებს სასაზღვრო პოლიციის კაპიტნის წოდებას.

„ღირსების შელახვა არის იქ შეესაძლებელი, სადაც ღირსება არსებობს, სადაც ვანო მერაბიშვილი ბრძანებებს გასცემდა, ღირსება არ არსებობდა. 14 ნოემბერს სულ რომ მამა აბრამის ბატკანი ყოფილიყავი ადამიანი, ვანო მერაბიშვილის წახალისების მიღება და მითუმეტეს შერგება, როგორც კაპიტანმა გიგაურმა შეირგო, არის ჩემი რწმენით აბსოლუტური უთავმოყვარეობა. ეს არის ის დღეები, როდესაც მთელი მსოფლიო შფოთავს იმაზე, რაც მოხდა თბილისში. საქართველო და დედაქალაქი იშუშებს იმ მრავალრიცხოვან დაზიანებებს, რომელიც ამ მხეცებმა მიაყენეს ქართველ საზოგადოებას როგორც ფიზიკური, ასევე მორალური და ამის ჩამდენი და მიმღები ადამიანი, მე მელაპარაკება ღირსებაზე“, — განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

მისივე თქმით, სარჩელში საქმე გაერთიანებულია ვინმე გურამ ადამაშვილთან ერთად.

„ამ სარჩელში გაერთიანებული ვართ მე და ვინმე გურამ ადამაშვილი, რომელიც აზრზე არა ვარ, ვინ არის, თვალით არ მინახია“, — აცხადებს ხაინდრავა. მისი თქმით, იგი აუცილებლად დაესწრება სასამართლო პროცესს და თავის პოზიციას დააფიქსირებს.

თუ ერთსულოვანნი ვიქნებით, ამერიკელების დახმარება და თანადგომა კიდევ უფრო გაიზრდება

მსოფლიოში მომხდარი გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, აშშ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივაზე გვესაუბრება ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩი არჩილ გეგეშიძე

— ბატონო არჩილ, როგორ შეაფასებდით აშშ-საქართველოს ურთიერთობებს მსოფლიოში მომხდარი გეოპოლიტიკური ცვლილებების გათვალისწინებით?

— საქართველო-ამერიკის ურთიერთობები გამორჩეულია და უკვე 20 წელზე მეტია, ასეთად რჩება. დღევანდელ ცვალებად მსოფლიოში აშშ-სა და საქართველოს შორის მსგავსი სტრატეგიული პარტნიორობა თითქმის უნიკალური და უპრეცედენტოა. ამგვარი მყარი ურთიერთობების, სტრატეგიული პარტნიორობის მიზეზი და საფუძველი ერთობლივი ფასეულობებია (დემოკრატია, ადამიანის უფლებების პატივისცემა, კანონის უზენაესობა). საზიარო ფასეულობები კი იმის წინაპირობაა, რომ ჩვენი ქვეყნები ერთნაირად აღიქვამენ, ერთნაირად რეაგირებენ მსოფლიოში მომხდარ ცვლილებებსა და კრიზისებზე. ფასეულობების გარდა, დღეს ამერიკას და საქართველოს ძალიან სჭირდებათ ერთმანეთი. ჩვენ საერთო ინტერესები გვაქვს. შესაბამისად, საერთო ფასეულობები და საერთო ინტერესები ნიშნავს, რომ არც ამერიკის და არც საქართველოს მხრიდან არ არის მოსალოდნელი სტრატეგიული პარტნიორობიდან უკან დახევა ან თანამშრომლობის შესუსტება.

— როგორ აისახა უკრაინის კრიზისი აშშ-ს დამოკიდებულებაზე სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ?

— ამერიკის ფუნდამენტური მიდგომა არც რეგიონის და არც საქართველოს მიმართ არ შეცვლილა — ვაშინგტონს სურს, საქართველო და რეგიონი დემოკრატიულ, განვითარებულ და ცივილიზებულ საზოგადოებებად იხილოს. უკრაინის კრიზისმა შეცვალა ვაშინგტონის ხედვა რუსეთის მიმართ — მოსკოვი აღარ განიხილება პარტნიორად, არამედ ქვეყნად, რომელიც დემოკრატიის ნაკლებობის გამო რეგიონული კრიზისების მთავარი მიზეზია. ამერიკამ რუსეთთან პარტნიორობა, ფაქტობრივად, შეკავების პოლიტიკით შეცვალა — სანქციები, რიტორიკა, შეიარაღებული ძალების მობილიზება, წვრთნები აღმოსავლეთ ევროპაში მიუთითებს, რომ რუსეთი აღარ განიხილება პრობლემების გადაწყვეტაში პარტნიორად, არამედ თავად წარმოადგენს პრობლემას. რუსეთთან ურთიერთობის კონტექსტში ამერიკისათვის საქართველომ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა, როგორც ერთგულმა პარტნიორმა და მზარდი დემოკრატიის ქვეყანამ. გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ამგვარი ქვეყანა ამერიკისთვის რეგიონში ბევრი აღარ დარჩა.

— შეიცვალა თუ არა და თუ — კი, როგორ, აშშ-ის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ჩვენთან ხელისუფლების ცვლილების შემდეგ? თქვენი კოლეგა დიპლომატები, რომლებმაც დიდი ხანი არ არის, რაც სახელისუფო გუნდი დატოვეს, აცხადებენ — „საქართველო აშშ-ს რადარებიდან გამქრალია“, რომ „ამერიკელი პარტნიორები ვერ ხედავენ მკაფიობას ოფიციალური თბილისიდან, რომ მათ მართლაც უნდათ ნატოში ინტეგრაცია“...

— შეიძლება, დაბეჯითებით ითქვას, რომ ურთიერთობები ბევრად გაუმჯობესდა. ამის მთავარი მიზეზია ხელისუფლების მშვიდობიანი, მოწესრიგებული და დემოკრატიული გადაცემა 2012 წლის ოქტომბერში. ამერიკის ადმინისტრაციის, კონგრესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოხმაურებები დღეს უფრო დადებითია, ვიდრე წინა წლებში. სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ოთხივე მიმართულება — დემოკრატია, თავდაცვა, ეკონომიკა და ხალხთა შორის ურთიერთობები გაუმჯობესების და განვითარების ყველანაირ ნიშანს ავლენს. საქართველო-ამერიკის ურთიერთობებმა სტრატეგიული ხასიათი შეინარჩუნა, მაგრამ განვითარდა საზოგადოებებს შორის კავშირებიც — კულტურული, საგანმანათლებლო, ეკონომიკური და საქმიანი ურთიერთობები. დღეს ამერიკა საქართველოს ეპყრობა, როგორც საიმედო და ღირსეულ პარტნიორს. დონორისა და დახმარების მიმღები ქვეყნის ურთიერთობები ბოლო წლებში პარტნიორული ურთიერთობებით იცვლება. დღეს ამერიკას რეგიონის არც ერთ ქვეყანასთან არ აქვს თანამშრომლობის ისეთი ყოვლისმომცველი ფორმატი და განვითარებული დღის წესრიგი, როგორც საქართველოსთან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვერ გავიზიარებ კოლეგების თეზისს „საქართველოს აშშ-ის რადარებიდან გაქრობის“ შესახებ. „რადარებიდან გამქრალ“ ქვეყანაში აშშ არ ატარებს იმ მასშტაბის ღონისძიებებს, როგორიც ამას წინათ გამართული „ღირსეული პარტნიორის“ სახელით წოდებული სამხედრო წვრთნები გახლდათ. ასევე, „რადარებიდან გამქრალ“ ქვეყანაში აშშ-ის ჯანდაცვის წამყვანი უწყება, კერძო კომპანიასთან ერთად, არ ახორციელებს საშიში დაავადების აღმოფხვრის მრავალმილიარდიან პროგრამას, არც სენატორები გამოიჩენენ ყველაზე მეტ ინტერესს საკომიტეტო მოსმენის დროს „რადარებიდან გამქრალ“ ქვეყანაში დასანიშნი ელჩის მიმართ. მკითხველმა, ალბათ, იცის, რომ ამ რამდენიმე კვირის წინათ აშშ-ის სენატში გაიმართა აღმოსავლეთ ევროპის 5 ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, ნომინირებული ელჩების მოსმენა. აღსანიშნავია, რომ სენატორების მხრიდან დასმული შეკითხვების, თუ გამოთქმული მოსაზრებების 90 პროცენტი საქართველოში ელჩად წარდგენილი კანდიდატურის მოსმენისას დაისვა და გამოითქვა. მსგავსი მაგალითები მრავლადაა.

რაც შეეხება იმას, რომ თურმე ამერიკელი პარტნიორები ცხადად ვეღარ ხედავენ საქართველოს ოფიციოზის მკაფიო სურვილს ნატოში საქართველოს გაწევრების თაობაზე, აქაც ვერ დავეთანხმები კოლეგებს, ვინაიდან ბოლო თვეების განმავლობაში ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით მყოფი პარლამენტის თავმჯდომარის, საგარეო საქმეთა მინისტრისა თუ სხვადასხვა რანგის მრავალი ოფიციალური პირის საჯარო გამოსვლებს, აშშ-ის ადმინისტრაციასა და კონგრესში გამართული ათეულობით შეხვედრის დროს, მუდმივად გამოითქმებოდა ნატოში გაწევრების სურვილი და გაისმოდა ამ საკითხში მხარდაჭერის გაგრძელების თხოვნა.

ამჟამად მზადდება საქართველოს ახალი თავდაცვის მინისტრის ვიზიტი, რომლის დროსაც კიდევ ერთხელ გახმიანდება ეს თემა. ასევე, ვიწყებთ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ვიზიტის მზადებას. რაც შეეხება საელჩოს, ჩვენთან არანაირი ინსტრუქცია არ მოსულა ნატოში ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით ჩვენი კურსის და მასთან დაკავშირებული ცნობილი აქცენტების რაიმე სახით ცვლილების შესახებ. პირიქით, ვცდილობთ (სხვათა შორის, იმავე შემადგენლობით, რაც ადრე) ვიყოთ უფრო აქტიური და კრეატიული, რათა მოხერხდეს ამ გზაზე მორიგი ნაბიჯით წინ წაწევა. არც მე, არც სხვა ჩემს კოლეგას საელჩოში არ განელებია ამ მიმართულებით აქტიური მუშაობის მოტივაცია.

მეტსაც გეტყვით, ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტის იმ ვერსიაში, რომელიც კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ შეიმუშავა, ჩვენი თხოვნით მკაფიოდ არის დადასტურებული საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერების აუცილებლობა და მათ შორის, ნატო-ში გაწევრების სამოქმედო გეგმის მოცემის მიზანშეწონილობა. მართალია, წინ ჯერ კიდევ რამდენიმე პროცედურაა გასავლელი, ვიდრე ეს დოკუმენტი კანონის ძალას შეიძენს, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს მთავრობის ურყევი სურვილი ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, კონგრესში კარგად იციან. დღეს ძნელად წარმომიდგენია სენატში, კონგრესში ან აშშ-ის ადმინისტრაციასა თუ აკადემიურ წრეებში ისეთი პიროვნება, ვისაც ეჭვი ეპარება საქართველოს ხელისუფლების ნატოში გაწევრებაზე აღებული კურსის მიმართ ერთგულებაში.

— როგორია საქართველოს პრიორიტეტული მიზნები ამერიკის, როგორც სტრატეგიული პარტნიორის მიმართ?

— ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც მსოფლიო ზესახელმწიფო, მუდმივად უნდა იყოს დაინტერესებული და ჩართული ჩვენი რეგიონის უსაფრთხოების და მშვიდობის უზრუნველყოფაში. ამერიკა გვეხმარება თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში, ნატოსკენ გზაზე პროგრესის მიღწევაში, უსაფრთხოების საერთაშორისო სტრუქტურებში ჩართვაში. საქართველოსთვის დღეს ასევე პრიორიტეტულია რესურსების მოზიდვა, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზეა ორიენტირებული. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ამერიკული ინვესტიციებისა და საქმიანი ინტერესების მობილიზება. ამისათვის, სხვასთან ერთად, საჭიროა საქართველოსა და აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა. აუცილებელია, გაგრძელდეს საქართველოს და კავკასიის გადაქცევა საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ ცენტრად, რაშიც ამერიკის პოლიტიკური მხარდაჭერა გადამწყვეტია. მნიშვნელოვანია ამერიკული ტექნოლოგიების, ცოდნის მობილიზება საქართველოს საკეთილდღეოდ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა.

— იქნებ უფრო კონკრეტულად შეეხოთ ამ მიმართულებებით მუშაობის თვალსაჩინო შედეგებს. ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ვითარებაში, როცა, ერთი მხრივ, ვაშინგტონსა და, მეორე მხრივ, ევროპასა და რუსეთს შორის ურთიერთობები საკმაოდ დაძაბულია, „ცივი ომი- 2“ კარგა ხნის დაწყებულია და დასავლეთი ეკონომიკური სანქციებით ცდილობს, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ქმედებები საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში დააბრუნოს; დასავლელი ლიდერები აცხადებენ, რომ რუსეთი მანამდე ვერ მიიღებს G G7-ის მუშაობაში მონაწილეობას, ვიდრე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინია. ასეთ აშკარად არასახარბიელო ფონზე, თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ ოფიციალურმა თბილისმა შეძლოს ამ ეტაპზე აშშ-ის მიმართ იმ პრიორიტეტული მიზნების მიღწევა, რომელიც აქვს? და კიდევ, ამავე საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, როგორია აშშ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივას?

— მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მიერ ხსენებული გეოპოლიტიკური ფაქტორი ბევრ რამეზე ახდენს გავლენას, მათ შორის, აშშ-სთან ორმხრივი ურთიერთობების ცალკეული ასპექტების კუთხით, ზემოხსენებული პრიორიტეტული თემების რეალიზაცია მნიშვნელოვანწილად მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ინტერვიუს ფორმატი არ გვაძლევს ყველა შედეგის შესახებ საუბრის საშუალებას, თუმცა, მაგალითისთვის რამდენიმე ფაქტის მოყვანა მაინც შეიძლება. დავიწყოთ უკვე აღნიშნული უპრეცედენტო მასშტაბის სამხედრო წვრთნებით, ცოტა ხნის წინათ რომ ჩატარდა საქართველოში. ნატოსთან თავსებადობის ამაღლების თვალსაზრისით ამ წვრთნებს დიდი მნიშვნელობა აქვს. გრძელდება მუშაობა ნატოს უელსის სამიტის გადაწყვეტილებით საქართველოში საწვრთნელი ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, ასევე იმ ცნობილი „პაკეტით“ გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტაზეც. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი საქართველოს უსაფრთხოების ხარისხის გაზრდის ამოცანას ემსახურება.

რაც შეეხება კეთილდღეობას. გასულ წელს საქართველოში განხორციელებულმა ინვესტიციებმა 80 მლნ დოლარს მიაღწია. გაიზარდა სავაჭრო ბრუნვაც. იკვეთება მაღალი დონის სავაჭრო და საინვესტიციო დიალოგის გააქტიურების პერსპექტივაც. ასევე საინტერესოა, რომ ბოლო პერიოდში რამდენიმე წამყვანმა ამერიკულმა უნივერსიტეტმა გამოხატა მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღოს საქართველოში ტექნოლოგიური პროფილის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განვითარებაში. ამერიკულმა მხარემ 30 პროცენტით გაზარდა FLEX-ის პროგრამის ფარგლებში საქართველოს კვოტა. იზრდება კვოტები სხვა სასწავლო თუ სამეცნიერო გაცვლით პროგრამებშიც.

რაც შეეხება საქართველო-აშშ-ის ორმხრივი ურთიერთობების მომავალს, პირადად მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ვფიქრობ, ეს განწყობა ბევრ ჩვენგანსაც აქვს. დღეს ორივე ქვეყნის პრიორიტეტია, რომ საქართველო გაერთიანდეს და განვითარდეს, როგორც დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფო. საქართველო უნდა გადაურჩეს ახლანდელ რეგიონულ კრიზისს და ამის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა თვისებრივად ახალ დონეზე უნდა ავიდეს. ობიექტურად ყველა რესურსი არსებობს ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისთვის. ბევრი რამ ჩვენზეც არის დამოკიდებული. ამერიკელები ხშირად აღნიშნავენ, რომ საქართველოსთვის ყველაზე დიდი გამოწვევა თავად ქართველების ერთიანობის მიღწევაა. თუ ერთსულოვანნი ვიქნებით, ამერიკელების დახმარება და თანადგომა კიდევ უფრო გაიზრდება.

კობა ბენდელიანი
ინტერპრესი

◎ ალიან-ჩალიანი

თბილისში ნატოს სტრატეგიული სამხედრო პარტნიორობის კონფერენცია ტარდება

ქართველი საზოგადოების და, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების არჩევანი არის აბსოლუტურად ურყევი და უკომპრომისო, — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ნატოს სტრატეგიული სამხედრო პარტნიორობის კონფერენციის ფარგლებში განაცხადა. თავდაცვის მინისტრმა კონფერენციის პლენარული სესია გახსნა. სიტყვით გამოსვლისას მან ყურადღება გაამახვილა უსაფრთხოების გამოწვევებზე, პარტნიორობის მნიშვნელობასა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაზე. თინა ხიდაშელმა ასევე იმედი გამოთქვა, რომ ალიანსის წევრები დანაპირებს შეასრულებენ და ვარშავის სამიტზე საქართველო სასურველ შედეგს მიიღებს.

„ყველაზე მთავარია, რომ ვარშავისკენ მიმავალ გზაზე, რაც შეიძლება მეტად ვაჩვენოთ ყველა ფორუმზე, იქნება ეს სამხედრო თუ პოლიტიკური, ჩვენი მზადყოფნა. მეორე ის, რომ ქართველი საზოგადოების და, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების არჩევანი არის აბსოლუტურად ურყევი და უკომპრომისი და მესამე, ვაჩვენოთ როგორ ვაპირებთ ამ გზაზე სიარულს“, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, მსგავსი კონფერენციები, ამ ტიპის ღონისძიებები ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო შესაძლებლობაა. „ნატოს სტრატეგიული სამხედრო პარტნიორობის კონფერენცია — 2015“ საქართველოში 8-10 ივნისს იმართება. კონფერენციის მასპინძლები ნატოს ტრანსფორმაციის გაერთიანებული სარდლობა და საქართველოს შეიარაღებული ძალები არიან.

◎ ინოვაციები და ბიზნესი

მეცნიერების დაფინანსებაში კერძო სტრუქტურები ჩაებმებიან

გასული საუკუნე მეცნიერებაში თეორიების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, თუმცა, ახალი ეპოქა ახალი იდეების ფრთაშესხმას გვპირდება, უფრო სწორედ, მეცნიერების კომერციალიზაციას, ანუ იდეების პრაქტიკულ განხორციელებას. ასეთმა მიდგომამ განვითარებულ ქვეყნებს უკვე მოუტანა წარმატება და დიდ პერსპექტივასაც უქადის. მაგრამ რა ძალუძს ინდუსტრიულ ფერხულში ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა?! რა თქმა უნდა, არსებობს განვითარების პოტენციალი, მთავარია, როგორ გამოვიყენებთ მას.

გასულ კვირას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების თემატიკისადმი მიძღვნილი საინტერესო გამოფენა გაიმართა. ღონისძიების მიზანი იყო ჩვენს ქვეყანაში არსებული გამოყენებითი კვლევების შედეგების, ახალი, სამეცნიერო-ტექნოლოგიური იდეების ფართო საზოგადოებისთვის დემონსტრირება, მათი პოპულარიზაცია და ბიზნესსექტორში პრაქტიკული რეალიზაციის ხელშეწყობა.

„მახარებს, რომ ჩვენს სახელმწიფოში ბოლო ხანებში დიდი ყურადღება ეთმობა ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და მეცნიერებატევად დარგებს, — აღნიშნა გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ირაკლი ჟორდანიამ, — როგორც ცნობილია, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის თავმჯდომარეობით შეიქმნა კვლევებისა და ინოვაციების საბჭო. ეკონომიკის სამინისტროში არსებობს ინოვაციის და ტექნილოგიების სააგენტო. ამასთან ერთად, პარლამენტის დარგობრივ კომიტეტთან მოქმედებს ინოვაციების კომისია. რაც შეეხება საპარტნიორო ფონდს, ის სწორედ ამ მიმართულების მსხვილმასშტაბიან პროექტებს ახორციელებს. ბუნებრივია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაც აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესში. ჩვენთან შეიქმნა ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი, რომელსაც აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე ხელმძღვანელობს“.

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი შარშან ჩამოყალიბდა და ქვეყნის ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების 43 ცნობილ მეცნიერს აერთიანებს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაცია, მაღალი ტექნოლოგიების სფეროში სტრატეგული პერსპექტივების განსაზღვრა, ინოვაციური პროდუქციის კომერციალიზაცია, მეცნიერებასა და ბიზნესს შორის თანამშრომლობა... სწორედ ეს არის ცენტრის მუშაობის მიზანი. **იმის გასარკვევად, თუ რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში და რა მიღწევები აქვს ქვეყანას, გამოფენის მოწყობა ერთ-ერთი საუკეთესო იდეა იყო.** ამიტომაც სამეცნიერო-საინჟინრო წრეებში ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და გამოფენაც საინტერესოდ წარიმართა. მასში ასამდე ავტორი მონაწილეობდა: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელმაც ბიოტექნოლოგიის მიღწევები წარმოადგინა, კრიოგენული ვაკუუმური ტექნოლოგიები იყო სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი თემა. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ თვალსაჩინოებისთვის გამოიტანა მოწყობილობა — ეკონომიურად გაუმჯობესებული თერმომექანიკური თვისებების შემცველი დამცავი კონსტრუქცია (კორპუსი) სამრეწველო და თავდაცვითი სისტემებისთვის; მინი სათესი მოწყობილობები, დაფნის ფოთლის წარმოების ტექნოლოგია, ტვირთამწე იყო რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის ექსპოზიცია...

მოკლედ, ძალიან საინტერესო და საჭირო იდეები გამოჩნდა გამოფენაზე, რასაც ბიზნესის წარმომადგენლები, მეწარმეები, ინვესტორები და, ზოგადად, ინოვაციებით დაინტერესებული საზოგადოება გაეცნო. მეტად საინტერესო ექსპონატები წარმოადგინა მეტალურგიის და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტმა. ეს იყო სხვადასხვა დანიშნულების თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მასალები. მონაწილეებსა და დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდათ, ერთად განეხილათ საინტერესო პროექტები, ემსჯელათ, როგორ შეიძლება გატარდეს ინოვაციების კომერციალიზაცია, დასახეს ტექნოლოგიების ტრანსფერისა და შემდგომი თანამშრომლობის საკითხები.

ქართულ მეცნიერებას ძალიან ბევრი სკეპტიკოსი ჰყავდა, მაგრამ, ჩვენდა გასახარად, ბოლო პერიოდში ეს თემა თანდათან ფერმკრთალდება. **„მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს,** — აღნიშნა ბატონმა ირაკლიმ, — **ჩვენი აკადემიის წევრები მიწვეულები იყვნენ ჩინეთში, სადაც გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ამერიკის სენატორმა ელ ფრანკენმა მოგვმართა წერილით. ის გვთავაზობს ერთობლივ სამუშაოს ეკოლოგიური მიმართულებით. მიწვევები გვაქვს უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან თანამშრომლობის გასარღმავებლად.**

ჩვენ გვაქვს ჩვენი ნიში, რითიც ვართ წარმატებული, გვაქვს ღირებული მიღწევები. უცხოელები დაინტერესებულნი არიან ჩვენით, იმით, თუ რას შევთავაზებთ, რადგან მეცნიერებას დიდი პასუხისმგებლობით ვეპყრობით“.

უდავოა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარება მაღალ ტექნოლოგიებზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამიტომაც გაზარდა სახელმწიფომ მეცნიერების დაფინანსება. შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. აქტუალური გახდა კონკრეტული პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და მეცნიერების კომერციალიზაცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება გამოყენებითი მეცნიერების დაფინანსებაში კერძო სტრუქტურების ჩაბმა, რომელთა წილი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მეცნიერების ჯამურ დაფინანსებაში დიდია.

თეა მოსია

◎ მკითხაობა შეფასების ნაცვლად!

ტორტის ნაჭრების გადანაწილება თუ...

შემოდგომაზე საქართველოს ახალი მინისტრთა კაბინეტი ეყოლება?

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ შესაძლოა, პარლამენტისა და მთავრობის შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს.

„კოალიციაში სერიოზული ცვლილების წინაპირობას ვერ ვხედავ. ამაზე საუბარი მხოლოდ პოლიტიკური სპეკულაციის ნაწილია, თუმცა იძულებული ვარ კოალიციის დაშლაზე მეოცნებეებს იმედები გავუცრუო. შესაძლოა, პარლამენტისა და მთავრობის შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს, როგორც ცოტა ხნის წინათ დეპუტატებმა პარლამენტიდან მთავრობაში გადაინაცვლეს, შესაძლოა, დეპუტატებმა სხვა თანამდებობა დაიკავონ და ა.შ. ჩვეულებრივ მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე ვსაუბრობ, რაც დიდ კოალიციურ ცვლილებებზე არ მიანიშნებს“, — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

შეგახსენებთ, მას შემდეგ, რაც ახალმა მთავრობამ პარლამენტისგან ნდობა მიიღო, მთავრობის ხელმძღვანელს 6 მინისტრის გათავისუფლების კომფორტი გაუჩნდა. ექსპერტების განცხადებით, მთავრობის ხელმძღვანელი ამ შესაძლებლობას აუცილებლად გამოიყენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობის განახლებულ შემადგენლობას 6 მინისტრი დატოვებს. ექსპერტები თვლიან, რომ შემოდგომაზე საქართველოს ახალი მინისტრთა კაბინეტი ეყოლება.

მანანა კობახიძის განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ არავითარი განსაკუთრებული ცვლილების დაანონსება არ მომხდარა. ვიცე-სპიკერი ამბობს, რომ უსუფაშვილმა ძალიან ზოგადად ისაუბრა, რაც შეიძლება ყოველთვის ხდებოდეს ნებისმიერი ქვეყნის პარლამენტში თუ მთავრობაში. კობახიძე ფიქრობს, რომ ამ ინტერვიუს სწორად წაკითხვა უნდა, რადგან არავითარი განსაკუთრებული ცვლილების დაანონსება არ მომხდარა.

ექსპერტებისგან განსხვავებით, პარლამენტარი, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი **ნინო გოგუაძე** თვლის, რომ ცვლილება უნდა შეეხოს მინისტრთა კაბინეტის მთლიან შემადგენობას.

„რა არასერიოზულობაა მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობაზე ლაპარაკი ისევ?! ასეთი მართვის პირობებში, როდესაც ხელისუფლება უუფლებო მოვალეობის მდგომარეობაშია ჩაყენებული, ყოველთვის პრობლემური იქნება და ადამიანის ცვლილებებით არაფერი არ შეიცვლება. თითოეულ მინისტრს აქვს არასტაბილურობის განცდა.

რაც მთავარია, ეს მათი არასტაბილურობის განცდა გადაედება სახელმწიფოს და სახელმწიფოს თითოეულ მოქალაქეს. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, პარლამენტში არსებული კოალიციის წევრებიდან, ვინ დაიკავებს მთავრობაში ახალ პორტფელს, რადგან მათთვის პრინციპები არ შეიცვლება, ისეთი უპასუხისმგებლობა მთავრობა იქნება, როგორც აქამდე იყო“, — აცხდებს ნინო გოგუაძე.

კონსტიტუციონალისტი **ვახტან ძაბირაძე** განმარტავს, მას შემდეგ, რაც გაზაფხულზე მთავრობის განახლებულმა შემადგენლობამ მთავრობის ნდობა მიიღო, მოქმედი კონსტიტუციით პრემიერს 6 მინისტრის მოხსნის შესაძლებლობა აქვს ისე, რომ ამას არ სჭირდება პარლამენტის ნდობა.

„რა თქმა უნდა, უსუფაშვილის განცხადება არ არის ანალიზის შედეგი, უბრალოდ, მან იცის, რა ხდება ხელისუფლების კულუარებში. რადგან თავს უფლება მისცა ასეთი განცხადება გაეკეთებინა, უნდა ვივარაუდოთ, რომ კოალიციაში სერიოზული საუბრები მიდის მინისტრთა კაბინეტის განახლებაზე. როგორც ჩანს, მინისტრთა კაბინეტი გადახალისებას მართლაც საჭიროებს. ფაქტია, რომ მინისტრთა კაბინეტის განახლების შემდეგაც საზოგადოებაში კვლავ რჩება ეკონომიკური გუნდის განახლების მოლოდინი, რადგან ამ მიმართულებით არაფერი არ შეცვლილა, პრობლემა პრობლემად რჩება.

ვფიქრობ, რომ ბუნებრივი იქნება ეკონომიკური გუნდის განახლების საკითხი. არ ვიცი, რამდენად სწრაფად მოხდება და ან როგორ აქვს ხელისუფლებას გათვლილი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ახლოვდება არჩევნები, ხელისუფლებამ რაღაცა მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადადგას. შექმნილი ვითარებიდან ჩანს, რომ მინისტრთა კაბინეტი შემოდგომაზე შეიცვლება და, სავარაუდოდ, შეიცვლება ეკონომიკური გუნდი“, — აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

რომელი დეპუტატი გადაინაცვლებს მთავრობის შემადგენლობაში, საუბარი უჭირს ექსპერტ **გია ხუხაშვილს,** რომლის განცხადებით, პარლამენტში ვერ ხედავს ისეთ ფიგურებს, ვისაც უკეთესად შეუძლია საქმის გაძღოლა, ვიდრე მთავრობის დღევანდელ წევრებს.

„პირდაპირ გეტყვით, რომ ძალიან უცნაური განაცხადია. პარლამენტში ვერ ვხედავ ისეთ კადრებს, რომლებსაც შეუძლიათ გადალახონ ქვეყანაში არსებული მმართველობითი კრიზისი. თუ ლაპარაკია ტორტის ნაჭრების გადანაწილებაზე, რომელიც რესპუბლიკელებმა მიიღეს, ანუ სხვა პარტიებიც ითხოვენ ტორტის რაღაცა ნაჭერს, ძალიან სასაცილო და არასერიოზულია.

ქვეყანაში, სადაც უზარმაზარი ეკონომიკური და სოციალური პრობლემაა, გადასახედია მთლიანად მმართველობითი სისტემა. ასეთი ტიპის გადანაწილებები და ვიღაცების პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება, წინსვლას და პროგრესს არ ნიშნავს, ეს უფრო რეგრესის მაჩვენებელია“, — აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** შეფასებით, ქვეყანა წინასაარჩევნო რეჟიმში გადადის, რაც ნიშნავს, რომ ხელისუფლება ეცდება ნებისმიერი პრობლემა ჩამოიშოროს. მისივე თქმით, თუკი „ქართულ ოცნებას“ ჰყავს პრობლემური მინისტრები, შეეცდება, რომ პრობლემური პერსონებისგან განთავისუფლდეს, რაც ბუნებრივი პროცესია.

თამთა ძარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

კაცს რომ ცოხე ესიზმრებოდეს, პირველად ვნახე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო „თავისუფალი საქართველოს“ რეგიონული მდივნის ბეჟან გუნავას დაკავების ფაქტს არ ადასტურებს.

პარტიამ „თავისუფალი საქართველო“ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, „სითი პარკთან“ მიმდინარე აქციაზე პარტიის რეგიონული მდივანი ბეჟან გუნავა დააკავეს. მოგვიანებით, პარტიაში განმარტეს, რომ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება ტექნიკურმა შეცდომამ გამოიწვია, დღეს აქცია არ გამართულა და ბეჟან გუნავაც დაკავებული არ არის.

ინტერპრესი

◎ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ᲤᲝᲗᲨᲘ **თანამედროვე ლოჯისტიკური ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნავსადგურის აშენების თაობაზე ლაპარაკი აგერ უკვე მერამდენე წელია, მიმდინარეობს, მაგრამ მარტო საქართველოსთვის კი არა, შავი ზღვის აუზის ქვეყნებისა და, ერთიანად დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ტვირთების გადაზიდვისთვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი, სხვადასხვა მიზეზით, რამდენჯერმე შეფერხდა. გარკვეული სიძნელეები ამჟამადაც არსებობს, მაგრამ, როგორც ჩანს, რიონის შესართავთან დიდი სატვირთო ნავსადგური მაინც აშენდება.**

რამდენიმე დღის წინათ სტამბოლში „შავი ზღვის პორტებისა და გადაზიდვების“ ყოველწლიური, რიგით მე-4 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. წლევანდელი ფორუმის თემა „შავი ზღვის პორტები – რეგიონის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ფაქტორები“ იყო. მონაწილეთა გამოსვლებს შორის საქართველოსთვის განსაკუთრებულად საგულისხმო გახლდათ კომპანია „APM ტერმინალს ფოთის“ გენერალური დირექტორის მოადგილის **ჯოზეფ ქროულის** მოხსენება. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ფოთში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სატვირთო ნავსადგურს უდიდესი მნიშვნელობა ექნება როგორც შავი, და ხმელთაშუა ზღვების, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნების კომერციული საქმიანობისთვის, რასაც ამ საზღვაო კარიბჭის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა განაპირობებს.

– იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო ბანკმა კავკასიის რეგიონის ქვეყნებისთვის ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები შეამცირა, კომპანია „APM ტერმინალსი“ აგრძელებს ფოთის სატვირთო ნავსადგურის მშენებლობაში ინვესტირებას. ამის მიზეზი, უწინარესად, მომავალში გაცილებით მძლავრი ტვირთნაკადის მომსახურებაა, – განაცხადა ბატონმა ქროულმა.

კომპანია „APM ტერმინალსის“ მიერ ფოთში დიდი მრავალმიზნობრივი და ღრმაწყლიანი სატვირთო ნავსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს არის ინფრასტრუქტურული ინვესტიციის გრძელვადიანი პროექტი. ნავსადგურის ინფრასტრუქტურის გასამართავად განხორციელებული კაპიტალდაბანდება მომავალში ხელს შეუწყობს ტვირთბრუნვის მოცულობის მრავალჯერად გაზრდას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს წარმატებულ გლობალურ სავაჭრო პარტნიორად გადასაქცევად.

სადღესოდ კომპანია „APM ტერმინალს ფოთის“ სპეციალისტებმა უკვე დაასრულეს ფოთის მომავალი ნავსადგურის გენერალური გეგმის დეტალური შესწავლა. აღნიშნული პროექტი სამომავლოდ გაზრდილი ტვირთნაკადის მიღებად და ტრანსპორტირებისთვის საჭირო აღჭურვილობის მოწყობას ითვალისწინებს როგორც საქართველოს, ასევე უახლოესი სამეზობლოს – აზერბაიჯანისა და სომხეთის გავლით.

შარშან სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალის აშენებით, „APM ტერმინალს ფოთმა“ პირველი ნაბიჯი გადადგა ფოთის სატვირთო ნავსადგურის ფართომასშტაბიანი გაფართოების პროექტის განხორციელებაში. მომდევნო ეტაპი, რომელიც ორი ახალი ღრმაწყლიანი ნავმისადგომის აშენებას ითვალისწინებს, 2018 წელს დასრულდება და დიდი საოკეანო გემების მიღება იქნება შესაძლებელი. ისინი უკვე არსებული სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალის წინ აიგება და იმის საშუალებას შექმნიან, რომ განახლებულმა ნავსადგურმა სრულად გამოიყენოს როგორც ამჟამად მოქმედი ტერმინალი, ასევე სარკინიგზო ინფრასტრუქტურა და სამანქანო გზა.

მას შემდეგ, რაც ფოთში თანამედროვე სატვირთო ნავსადგურის მშენებლობა მთლიანად დასრულდება, მისი წლიური ტვირთბრუნვის სიმძლავრე 50 მილიონი ტონა და 2 მილიონი ევროპული სტანდარტის კონტეინერი იქნება. მშენებლები ნავსადგურში ზღვის ფსკერსაც 16 მეტრამდე გააღრმავებენ და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფოთში შავ ზღვაზე ყველაზე დიდი კონტეინერმზიდების მიღებას შეძლებენ.

ბუნებრივია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მხრივ ახალ ნავსადგურს უდიდესი მნიშვნელობა ექნება, რადგან მრავალი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება, სავაჭრო ურთიერთობები კი საგრძნობლად ინტენსიური გახდება, რაც როგორც საქართველოს, ასევე ერთიანად სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკებისთვის განუზომლად დიდ სიკეთეს მოიტანს.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲙᲐᲚᲐᲗᲐᲨᲘ

ᲠᲐ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲖᲔ?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **საექსპორტო კალათაში ცვლილებებია – გარკვეული პროდუქციის ექსპორტი მცირდება, მაგრამ ჩნდება ახალი პროდუქტები, რომელთა ექსპორტი იზრდება.**

bpn.ge დაინტერესდა, რას ფიქრობენ საქართველოს ეკონომიკის ექსპერტები მსოფლიოში ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალზე და რომელ პროდუქტებს მიიჩნევენ პერსპექტიულად. საინტერესოა, თუ რა პროექტებს ახორციელებს ეკონომიკის სამინისტრო იმისთვის, რომ საქართველოში წარმოებულმა ამა თუ იმ პროდუქციამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს საექსპორტო კალათის ლიდერი პირველად შეიცვალა. საქსტატის მონაცემებით, 2015 წლის იანვარ-აპრილში, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადანმა და კონცენტრატებმა დაიკავეს. ბოლო წლების რეიტინგით მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი მეორე პოზიციაზე ჩამოქვეითდა, მესამე ადგილზე კი ფეროშენადნობებია. თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა თხილისა და კაკლის ექსპორტი. საექსპორტო კალათის ხუთეულში შედის სამკურნალო საშუალებები, რომელთა ექსპორტი 39 მილიონამდეა მომატებული წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

ეკონომიკის ექსპერტ **სოსო არჩვაძის** თქმით, საქართველოს ბევრი პროდუქტი აქვს, მაგრამ მცირე რაოდენობით: **„ჩვენ ცოტ-ცოტა ყველაფერი გვაქვს, მაგრამ ისეთი, როგორიც მაგალითად, თურქმენეთს აქვს, ნავთობი, გაზი, უზბეკეთს – ბამბა, რუსეთს – ენერგომატარებლები და ასე შემდეგ, ჩვენ ასეთი არ გვაქვს.“**

თუმცა, მისივე თქმით, არსებობს გარკვეული პერსპექტივები მსოფლიო ბაზარზე. ეკონომიკის ექსპერტი რამდენიმე პროდუქტს ასახელებს, რომლებსაც მსოფლიო ბაზარზე გარკვეული პოზიციების დაკავება შეუძლიათ, მათ შორის, თხილს, მინერალურ წყლებსა და ღვინოს. **„ღვინო, უკვე არა მარტო ჩრდილოეთის და დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთის მიმართულებითაც დაიძრა – იგივე ჩინეთის მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს მანგანუმს და ქიმიური მრეწველობის პროდუქციას, საქართველოს მტკნარ წყლებს. საუბრობენ საქართველოს მტკნარი წყლების ექსპორტზე. თუმცა, ეს ბაზარი სტრუქტურირებულია და იქ ახალი მოთამაშის შესვლას გაშლილი ხელებით ნამდვილად არ ელიან“,** – აღნიშნავს სოსო არჩვაძე.

მისივე თქმით, ქართული პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტის საკითხი კომპლექსურ მუშაობას და დიდ დროს მოითხოვს. **„ზოგადად, ეს მთელი პროცესია და მუშაობაა სააჭირო – ქვეყნის რეკლამიდან დაწყებული, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით დამთავრებული. ასევე, მარკეტინგული სვლებით შეიძლება გარკვეული შედეგის მიღება. ჩვენ არ უნდა განვეწყოთ ნახტომისებური წინსვლისთვის. ეს არის ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლისკენ ორიენტაცია“,** – აღნიშნავს სოსო არჩვაძე.

ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** საქართველოს საექსპორტო პოტენციალზე საუბრისას, პირველ რიგში, ბიოპროდუქციას და გადამმუშავებელ მრეწველობას ასახელებს. **„ამ პროდუქციის ნიადაგზე ბაზარი არის უზარმაზარი და საქართველოს აქვს ძალიან კარგი პოტენციალი. მისი ძირითადი მიმართულება სწორედ ეს უნდა იყოს. სოფლის მეურნეობაში შესაბამისი პოლიტიკის გატარებაა საჭირო, მისი საბაზრო პრინციპებზე მოწყობა, იმ ბაზრების აგება, რასაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარი ჰქვია. ამათ გარეშე არაფერი გაკეთდება. ის არასერიოზული პროგრამები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრი სახელმწიფო ხარჯებით ახორციელებს, შედეგს ვერ მოიტანს და ამას ჩვენ ყველა მალე დავინახავთ“,** – აღნიშნავს ექსპერტი.

დემურ გიორხელიძე ასევე ხაზს უსვამს, რომ საქართველოს კარგი პოტენციალი აქვს ფეროშენადნობების და მადნეულის მხრივ. **„არ უნდა დაგვავიწყდეს ინოვაციები. ხელშეწყობის, განათლებისა და მეცნიერების სტიმულირების შემთხვევაში, ნელ-ნელა ეკონომიკა ინოვაციურ რელსებზე უნდა გადავიყვანოთ და იქ 10 პროდუქტიც გაჩნდება და 50-ც, რომელიც წარმატებით გავა მსოფლიო ბაზარზე. ის პოტენციალი, რაც ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებობს, არაფრით არის გამოყენებული. თუნდაც ცნობილი ინჟინრის აკაკი იორამაშვილის მაგალითი. საქართველოში ვერავის ვერაფერი გააგებინა და დღეს მისი ხელსაწყო (მომენტალურად ცემენტის თვისებების, ბეტონის თვისებების დადგენის შესაძლებლობა) სამშენებლო ინდუსტრიაში ძალიან მოთხოვნადია. პროდუქცია არის, მაგრამ ქვეყანაში გარემო არ არის იმისთვის, რომ ეს იდეებისა და პროექტების დონეზე არსებული ინტელექტუალური პოტენციალი რეალიზდეს. პირველ რიგში, სტრატეგიული ამოცანაა განათლება, როგორც ქვეყნის არსებობისა და განვითარების საფუძველი“,** – ამბობს დემურ გიორხელიძე.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოში წარმოებული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის დასადგენად და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, მუშაობა მუდმივად მიმდინარეობს. **„სააგენტო მუდმივად აკეთებს კვლევებს და აქტიურად ეკონტაქტება კერძო სექტორს, რათა გამოიკვლიოს მათი პრობლემატიკა, იპოვოს გადაჭრის გზები და დაეხმაროს მათ პროდუქციის ექსპორტში. ამ მიმართულებით გამოვყოფდით ოთხ საკითხს: პირველი, კერძო სექტორის უნარების ამაღლება, მეორე, პირველად განხორციელებული ექსპორტის წახალისება, მესამე, მეწარმეებისთვის საერთაშორისო ბაზრებზე ინფორმაციის მიწოდება; აღსანიშნავია, რომ სააგენტოს აქვს წვდომა საერთაშორისო საინფორმაციო პორტალზე (Euro Monitor), რის შედეგადაც კომპანიებს ექნებათ საშუალება, მიიღონ მეტი ინფორმაცია საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ სიტუაციაზე და ახალ ტრენდებზე და მეტად აქტიურად იმუშაონ საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და საერთაშორისო ბაზარზე შესვლის სტრატეგიაზე; მეოთხე, დამატებითი კაპიტალის მოძიება გაფართოებისათვის, რაც დღეს უკვე „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა მეწარმეებისათვის“,** – აღნიშნავს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს პიარის წარმომადგენელი ნათია კალანდარიშვილი.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲝᲠᲙᲝᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮᲘ

„ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ“ – ᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ



ᲔᲧᲝᲚᲔᲑᲐ თუ არა მეფე საქართველოს, დროის გადასაწყვეტია, მაგრამ ჩვენ ის ერი ვართ, ვისთვისაც მონარქია და მისი თანმდევი ღირებულებები მისაღებია. ალბათ, იმიტომაც, რომ ჩვენი დიდებულები, წინაპრები ყოველთვის ხმლით, საკუთარი სისხლითა და სიკვდილით წერდნენ ხოლმე საქართველოს ისტორიას. თავადაზნაურობა მტერსა თუ მომხვდურს მედგრად ხვდებოდა და თავგანწირვით იბრძოდა საკუთარი მამულის დასაცავად. ისტორია გრძელდება. დღესაც იმავე შემართებით დგანან ქვეყნის სადარაჯოზე დიდებული გვარების წარმომადგენლები და კიდევ უფრო მძაფრად განიცდიან ჟამთატრიალით მოგვრილ ავსა თუ კარგს.

„ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ“ ასე ქვია ალმანახს, რომელიც ჩვენი პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოვიდა და რომელსაც სათავეში უდგას ქალბატონი **ია ბაგრატიონ-მუხრანელი. „წლების მანძილზე საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულო უშვებდა გაზეთებს, ჟურნალებს „გვირგვინი“, „სამეფო გვირგვინი“, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წევრების, ერთგული მკითხველის მიერ ქვეყნის ეროვნულ ტრიბუნად აღიქმებოდა. სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო (ტოტალური განუკითხაობა, დევნა და ზეწოლა შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმების პერიოდში) ჟურნალ-გაზეთებმა შეწყვიტა არსებობა.**

ამჟამად, ჩვენს ძვირფას მკითხველს, მონარქისტულად მოაზროვნე ქართველებს, კვლავ ვთავაზობთ „სამეფო გვირგვინს“, სქელტანიანი ფერადი, ილუსტრირებული ალმანახის სახით. ალმანახი გააშუქებს ქართული მონარქიზმის თავისებურებებს, ჩვენი ისტორიის, მეცნიერების, კულტურის, გვარების ეთნოგენეზის, ჰერალდიკის, უძველესი მართლმადიდებლური კერების ჩამოყალიბების საკითხებს, ქართველებისა და საქართველოს წვლილს მსოფლიო ცივილიზაციაში. ვფიქრობთ, რომ „სამეფო გვირგვინი“ უფლის ერთ-ერთი სიმბოლოა... სამეფო გვირგვინი – შევა თქვენს გულებში, თქვენს სახლებში, რამეთუ გვირგვინი – ჩვენი ქვეყნის ძლიერი საწყისი, გაერთიანებისა და გამთლიანების დამაგვირგვინებელი იქნება“, – წერს ია ბაგრატიონ-მუხრანელი რედაქტორის სვეტში. ჟურნალის პრეზენტაცია ზურაბ წერეთლის საგამოფენო სივრცეში მოეწყო. იქ ერის სატკივარსა და ჭირ-ვარამზე უფრო მეტი ითქვა, ვიდრე დალხენასა და სიამტკბილობაზე. განსაკუთრებული გულისტკივილით რთულ დემოგრაფიულ ვითარებაზე ისაუბრა დავით თარხან-მოურავმა: **„2050 წლისათვის ვარაუდობენ, რომ თითქმის მილიონით შემცირდება ქართველობა. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენსავე ქვეყანაში უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ამ საკითხზე დაფიქრება გვმართებს და რაღაც ზომების მიღება, რომ გადავრჩეთ, შევინარჩუნოთ მეობა, ზნეობა, დავიცვათ ის სიწმინდეები, რისთვისაც ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ“.**

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას წარმოადგენენ: მეუფე ანანია (ჯაფარიძე), ოთარ ჟორდანია, ვაჟა აბაკელია, ადა მარშანია, ნანა ანდრონიკაშვილი, გიორგი ზვიადაძე, იური ჩიქოვანი, მანანა გაბაშვილი, ელენე ბარათაშვილი. მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის გამოცემაში, ძალიან მნიშვნელოვან თემებზე არის ყურადღება გამახვილებული. აქ ნახავთ პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს, პრობლემურ თემებს ჩვენს კულტურაზე, ისტორიაზე, ღირებულებებზე, წინაპართა გმირობის ამბებს, სამეფო გვარის წარმომადგენელთა თავგადასავლებს, სახელოვანი თანამედროვე საზოგადო მოღვაწეების მიღწევებსა და წარმატებებს. როგორც პროფესორმა ოთარ ჟორდანიამ აღნიშნა: **„ალმანახს პრეტენზია აქვს, რომ ეროვნული ტრიბუნა გახდეს. მან უნდა დარაზმოს ჩვენი დაქსაქსული საზოგადოება“.**

საქართველოს ისტორიის 23 საუკუნე უკავშირდება მეფეს, საგულისხმოა, რომ თითქმის 10 საუკუნის განმავლობაში ბაგრატიონთა დინასტია მართავდა ქვეყანას. მათ საკუთარი ერთგულებით, ნიჭით, სიყვარულით ატარეს სამშობლო ოღრო-ჩოღრო ბილიკებით და დღემდე მოიყვანეს.

„ეს არის ჩვენი სისხლიანი ისტორია, – ამბობს ია ბაგრატიონ-მუხრანელი, – **თავადაზნაურობა ერთან და სამღვდელოებასთან ერთად იბრძოდა ქვეყნის შესანარჩუნებლად, ამიტომ ამ წვლილის დავიწყება შეუძლებელია. ჩვენც, მათი შთამომავლები, ვალდებულნი ვართ, ღირსეულად მოვეპყრათ ჩვენი წინაპრების ხსოვნას და ამით ისტორია შევუქმნათ მომავალს“.**

ᲛᲝᲓᲘᲗ, ვიყოთ პატრიოტები,– მოგვიწოდებს ქალბატონი ია, რომელმაც ასეთი დევიზი შეურჩია ალმანახს: მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე ჰკიდია... **ᲛᲐᲨ ᲐᲡᲔ, „ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ“ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔᲐ!**

ᲜᲘᲐ ᲤᲘᲤᲘᲐ

◎ ᲩᲝᲮᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲡᲐᲛᲝᲡᲔᲚᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ სამოსს ალბათ, ვერც ერთი სახელგანთქმული ბრენდი ვერ შეედრება, თუნდაც ყველაზე არაორდინალური და მხატვრული ფანტაზიის მრავალფეროვნებით გამორჩეული.

როგორც მაღაზია „სამოსელი პირველის“ მენეჯერმა ეკა მამულაშვილმა bpn.ge-სთან საუბრისას განაცხადა, ქართული ეროვნული სამოსის მიმართ მოთხოვნა მეტ-ნაკლებად სტაბილურია. იგი საზოგადოების ყველა ფენისთვის პოპულარულია.



„ჩვენ დამოკიდებული ვართ საქორწინო სეზონზე. მაისის თვეში გაყიდვებმა ოდნავ იკლო, თუმცა, საგრძნობლად არ დაუკლია. პროცენტული მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, ეროვნულ ტანსაცმელს ქართველების 70% ყიდულობს, 30%-ს უცხოელები ყიდულობენ. გარდა ქორწილებისა, ჩვენს მაღაზიას მიღებებისთვის, ღონისძიებებისთვის და საღღესასწაულო დღეებში აკითხავენ“, – განაცხადა ეკა მამულაშვილმა.

მაღაზიის წარმომადგენელთა თქმით, ქართული სამოსის ერთ-ერთი მკაფიო მახასიათებელია გულმკერდზე საწამლე, მკვეთრად გამოკვეთილი წელი, სამასრეები, ქამარზე იარაღის დასტები, კაბის თავისუფალი ტოტები.

„ჩვენთან ყველაზე ძვირად ღირებული ქალის საქორწინო სამოსია. ნაჭერი, აქსესუარები და მისი შეკერვის ტექნიკაც რთულია და მის მაღალ ფასს სწორედ ეს განაპირობებს. ქალის საქორწინო კაბის ფასი 2 500 ლარიდან იწყება და კაბის მაქსიმალური ფასი დამოკიდებულია მომხმარებლის გემოვნებაზე. მამაკაცის საქორწილო სამოსი ჩარჩოებში ჯდება, თუ რა თქმა უნდა, ანტიკვარულს არ შეარჩევს“, – განაცხადა მაღაზიის მენეჯერმა.

ქართული ტრადიციული სამოსი არ არის რომელიმე კერძო დიზაინერის ფანტაზიის ნაყოფი, რომელსაც ელემენტები აქვს დამატებული. ეს არის ძველი ტრადიციების, სამუზეუმო ფოტომასალის მიხედვით შექმნილი სამოსი. სწორედ ეს გამოარჩევს ტრადიციულ სამოსს სხვა ტანსაცმლისგან.

როგორც მაღაზია „სამოსელი პირველში“ გვითხრეს, კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეროვნული სამოსის (როგორც ქალის, ისე მამაკაცის) აქსესუარების წარმოებას, როგორებიცაა: ჩოხის მასრები, ხანჯლები და სატევრები, ქალისა და მამაკაცის სარტყელები, ქისები, ჩექმა, ფეხსაცმელი და მრავალი სხვა. **„ეს არის ერთადერთი კომპლექსური მაღაზია, სადაც ყველაფერს ვკერავთ. ბოლო პერიოდში ჩვენი მაღაზიის ბევრი პლაგიატი გამოჩნდა, სადაც ჩვენი სამოსის კოპირება ხდება“,** – აღნიშნავენ „სამოსელი პირველში“.

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲘ ᲔᲡ�პᲐᲜᲣᲠ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐᲡ 1 ᲚᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ მდებარე ანბანის კოშკი ესპანურ კომპანიას 20 წლით მართვის უფლებით, 1 ლარად გადაეცა. კომპანია BOOST SPAIN – კოშკში რესტორანს და გალერეას რამდენიმე თვეში განათავსებს , დაახლოებით ერთ თვეში კი მიმდებარე ტერიტორიაზე ღია კაფეებს მოაწყობს. მანამდე მოსაწესრიგებელია ლიფტები, რაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარის არჩილ ხაბაძის ინფორმაციით, კომპანიას მილიონ 200 ათასი ლარი დაუჯდება. არჩილ ხაბაძის განცხადებით, ობიექტის ფუნქციური დატვირთვა ზღვისპირა ტურისტულ ქალაქს კიდევ უფრო გააცოცხლებს.

მისი ინფორმაციით, 1 ლარად გადაცემული ობიექტიდან აჭარის ბიუჯეტი ქონების გადასახადით შეივსება და ობიექტზე ადგილობრივები დასაქმდებიან.

„მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ამ თემაზე პანიკა მოაწყო, ჩვენ არ ვაკეთებდით განცხადებას ერთი გარემოებიდან გამომდინარე: კომპანიასთან ჩვენ გავაფორმეთ ორთვიანი მემორანდუმი და ამ პერიოდში მას უნდა შეესწავლა ობიექტის მდგომარეობა, ჩაეტარებინა ექსპერტიზა და გადაეწყვიტა – უღირდა თუ არა ანბანის კოშკის მმართველობაში მიღება. ეს პერიოდი წარმატებით დასრულდა. თქვენ იცით, რომ ლიფტების მშენებლობა ბოლომდე არ იყო მიყვანილი და ამაზე სასამართლო დავა მიმდინარეობს. მერია მშენებელ კომპანიას უჩივის, დაუსრულებელი მშენებლობის გამო კი ობიექტი დღემდე ექსპლუატაციაში მიღებული არა აქვს. კომპანია ყოველწლიურად გადაიხდის ქონების გადასახადს, კომუნალურ გადასახადებს და სხვა ხარჯებს, რაც მას დაახლოებით 700 000 ლარი დაუჯდება, დაასაქმებს ადგილობრივებს და წლების განმავლობაში უფუნქციოდ მდგარ შენობას გააცოცხლებს“, – განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძემ.

ანბანის კოშკი ბათუმში მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით აშენდა და მასზე 64 მილიონი ლარი დაიხარჯა. იგი ესპანელმა არქიტექტორმა – ალბერტო დომინგო კაბომ დააპროექტა და 2011 წელს აშენებული ობიექტი დღემდე უფუნქციო იყო.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲙᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲙᲐᲠᲒ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲒᲕᲘᲬᲔᲕᲡ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲙᲝᲠᲔᲣᲚᲘ ტელეკომპანია EBS საქართველოს ტურისტული მიმართულებების შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებს.

გადამღები ჯგუფი საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ერთი კვირით ჩამოვიდა.

ტელეკომპანიის ჟურნალისტებმა უკვე გადაიღეს მესტიის, უშგულის, ზუგდიდის, ქუთაისის, გორის, სიღნაღის, ყვარლისა და თბილისის ტურისტული ადგილები, ასევე პრომეთეს მღვიმე და უფლისციხე.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ტელეკომპანია EBS-ის დოკუმენტურ ფილმში წარმოდგენილ იქნება საქართველოს კურორტები, ქართული სამზარეულო და ღვინო. ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრები ხალხის ცხოვრების წესები და ტრადიციები. ტელეკომპანია EBS-ს სამხრეთ კორეაში სამ მილიონზე მეტი მაყურებელი ჰყავს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

საქმე №1/49-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

8 ივნისი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”
საარბიტრაჟო მოპასუხე: ილია სურგულაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 3 აპრილს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი მოპასუხის ილია სურგულაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 18 თებერვალს შპს „ნოვა კრედიტსა” და ილია სურგულაძეს შორის დაიდო №021412811 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1740 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 3 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის ილია სურგულაძის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: მიცუბიში მონტერო სპორტი; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2001; ტიპი: მაღალი გამავლობის; ფერი: თეთრი; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №JA4MT21H32J013129; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL0952793; სარეგისტრაციო ნომერი: IZS444;

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე ილია სურგულაძეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ილია სურგულაძეს სამჯერ გაეგზავნა რეგისტრაციის მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართებზე არ იმყოფებოდა და არც ფოსტის მიერ დატოვებულ შეტყობინებას მიაკითხა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ილია სურგულაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და საარბიტრაჟო განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ილია სურგულაძე რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება. ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ილია სურგულაძეს (პირადი №01027047526) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ილია სურგულაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ილია სურგულაძეს ეცნობოს, რომ 2015 წლის 30 ივნისს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ილია სურგულაძის მიმართ.

5. ილია სურგულაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/70-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

8 ივნისი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”
საარბიტრაჟო მოპასუხე: დავით ზურაბაშვილი, თორნიკე მექვაბიშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 22 მაისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი მოპასუხის დავით ზურაბაშვილისა და თორნიკე მექვაბიშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 9 სექტემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და დავით ზურაბაშვილს შორის დაიდო №091413680 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 2200 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: მიცუბიში ონტერო ლიმიტედი; ტიპი: მაღალი გამავლობის; ფერი: თეთრი; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2000; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №JA4MW51R51J000723; სარეგისტრაციო მოწმობა: AL1305666; სარეგისტრაციო ნომერი: JJC204.

2014 წლის 9 სექტემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და თორნიკე მექვაბიშვილს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თავდები იღებს ვალდებულებას მთლიანად იყოს პასუხისმგებელი შპს „ნოვა კრედიტი”-ს წინაშე დავით ზურაბაშვილის მიერ 2014 წლის 9 სექტემბერს გაფორმებული №091413680 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე დავით ზურაბაშვილსა და თორნიკე მექვაბიშვილს ორჯერ გაეგზავნათ რეგისტრაციის მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მოპასუხეებს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ისინი მითითებულ მისამართებზე არ ცხოვრობენ.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე დავით ზურაბაშვილსა და თორნიკე მექვაბიშვილს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და საარბიტრაჟო განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხეები რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობენ. ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე დავით ზურაბაშვილსა (პირადი №01013024551) და თორნიკე მექვაბიშვილს (პირადი №01011064086) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. დავით ზურაბაშვილსა და თორნიკე მექვაბიშვილს განემარტოთ, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოთ მოპასუხეს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე დავით ზურაბაშვილსა და თორნიკე მექვაბიშვილს ეცნობოთ, რომ 2015 წლის 30 ივნისს 14:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

5. დავით ზურაბაშვილსა და თორნიკე მექვაბიშვილს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მათზე ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შორენა მოისწრაფეშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შორენა მოისწრაფეშვილი (პირადი №33001021072), მის: ოზურგეთი, ჯორჯიაშვილის ქ. №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ოზურგეთი, სოფელი ნატანები (შეკვეთილი), 301კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 26.01.47.080).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3650.45 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 19 ივნისი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:** შაქრო ვაშაყმაძე (პირადი №33001021411), მის: ოზურგეთი, ლალიონის №11;
შორენა მოისწრაფეშვილი (პირადი №33001021072), მის: ოზურგეთი, ჯორჯიაშვილის ქ. №1

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 19 ივნისის, 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზურაბ ღაზაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზურაბ ღაზაძე (პირადი №59001071487), მის: ქ. გორი, გურამიშვილის ქ. №1/25;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. გორი, გურამიშვილის ქ. №1, სართული 4, ბინა №25 (საკადასტრო კოდი: 66.05.18.025.01.025).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10389.37 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 24 ივნისი, 11:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:** ზურაბ ღაზაძე (პირადი №59001071487), მის: ქ. გორი, გურამიშვილის ქ. №1/25;
ზაზა თეთრაძე (პირადი №59001069260), მის: გორი, ატენის ქ. №14;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 24 ივნისის, 11:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნუგზარ სიხარულიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ სიხარულიძე (პირადი №60002005254), მის: ქ. ქუთაისი, აბაშიძის ქ. №35;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ქუთაისი, გრ. აბაშიძის ქ. №35, 365კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა №1 290.21კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 03.06.26.141).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14203.40 ლარი. სარეალიზაციო ფასი მოიცავს დღგ-ს;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 24 ივნისი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:** ნუგზარ სიხარულიძე (პირადი №60002005254), მის: ქუთაისი, აბაშიძის ქ. №35;
გიორგი ტყეშელაშვილი (პირადი №01010011307), მის: ვანი, სოფელი ბზვანი;
მარიამ სიხარულიძე (პირადი №60001130037), მის: ქუთაისი, გ.აბაშიძის ქ. №35;
რამაზი ბერაძე (პირადი №60001000352), მის: ფოთი, 9 აპრილის ხეივანი 28, ბინა 94;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 24 ივნისის, 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თემურ ბაკურიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თემურ ბაკურიძე (პირადი №61001005323), მის: ქ. ბათუმი, ჰ. აბაშიძის ქ. №23;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი განთიადი, 1119 27.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა: 1300კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 22.21.10.014).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 791110.50 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 24 ივნისი, 12:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** შპს „იბერია ენერჯი“ (ს/კ 245425589), მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი განთიადი;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 24 ივნისის, 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარჯვენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირების უფლების მოპოვებისათვის ინტერესთა გამოხატვის თაობაზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აცხადებს ინტერესთა გამოხატვას ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარჯვენა (ქ. თბილისიდან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით) მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირების უფლების მოპოვებისათვის და მონაწილეობის მისაღებად იწვევს საქართველოში ან უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მსურველს 2015 წლის 10 ივნისიდან 17 ივნისს 12:00 საათამდე ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობისათვის აუცილებელ ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტაციის (მათ შორის, ინტერესთა გამოხატვის პირობების, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმების, მომსახურების კომპლექსის კონცეპტუალური მოდელის, დეტალური პროექტის ძირითადი მაჩვენებლების და პარამეტრების, მომსახურების კომპლექსის განთავსებისა და ოპერირების უფლების მინიჭების თაობაზე ხელშეკრულების პროექტის) გაცნობა შეუძლია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე (www.mrdi.gov.ge), საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე (www.georoad.ge), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge), ამასთან აღნიშნული დოკუმენტაცია გასაცნობად გადაეცემათ კანდიდატებს, მოთხოვნის შემთხვევაში. ამავე პერიოდში (2015 წლის 10 ივნისიდან 17 ივნისს 12:00 საათამდე) განხორციელდება განაცხადების მიღება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარჯვენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირების უფლების მოპოვებისათვის ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მისაღებად (მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი №12).

2015 წლის 17 ივნისს 12:00 საათზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი №12) კანდიდატთა დასწრებით ჩატარდება ინტერესთა გამოხატვა. კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ინტერესთა გამოხატვის ფორმით ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარჯვენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირებაზე უფლების გამცემი არის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი №12).

ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული მოიპოვებს უფლებას ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარჯვენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირებაზე.

Request for Expression of Interest

to obtain the right to arrange and operate service area along the right hand side of road in the vicinity of Terjola turning (at three kilometers) of the E-60 highway

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia announces Expression of Interest for obtaining the right to arrange and operate service area along the right hand side of road **(from Tbilisi towards west Georgia)** in the vicinity of Terjola turning (at three kilometers) of the E-60 highway and invites legal entities registered in Georgia or in foreign country to participate.

Interested legal entities may examine documents necessary for taking part in Expression of Interest (including conditions of Expression of Interest, criteria for identifying the winner, conceptual model of service area, main characteristics and parameters of detailed design, draft contract for obtaining the right to arrange and operate the service area) at the website of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (w), website of Roads Department of Georgia (w), website of State Procurement Agency (w) from June 10, 2015 to June 17, 2015 till 12:00 p.m. Interested candidates may also obtain mentioned documents for examination, if requested. Meanwhile (from June 10, 2015 till 12:00 pm. of June 17, 2015), applications will be received (address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, Georgia) for participation in Expression of Interest to obtain the right to arrange and operate service area along the right hand side of road in the vicinity of Terjola turning (at three kilometers) of the E-60 highway.

Expression of Interest will take place in presence of candidates at Roads Department of Georgia (address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, Georgia) on June 17, 2015 at 12:00 p.m. Attendance of candidates is mandatory.

Roads Department of Georgia (address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, Georgia) is authorized to grant the right for arrangement and operation of service area along the right hand side of road in the vicinity of Terjola turning (at three kilometers) of the E-60 highway in the form of Expression of Interest.

The winner will obtain the right to arrange and operate service area along the right hand side of road in the vicinity of Terjola turning (at three kilometers) of the E-60 highway.

◎ კანონპროექტი

მივხედოთ მთიელს და ის მიხედავს მთას!

ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ 10 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ

ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ მუშაობის შემდეგ სპეციალურმა სახელმწიფო კომისიამ დაასრულა მუშაობა კანონპროექტზე, რომელმაც 1999 წელს მიღებულ მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ კანონში ცვლილებები უნდა შეიტანოს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, კანონპროექტი სრულყოფილ სახეს უკვე პარლამენტში მიიღებს, თუმცა, ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულად მიჩნეული მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონპროექტი უკვე ინიციირებულია.

მთავრობის ეკონომიკურმა საბჭომ მთის კანონი მოიწონა. პროექტი მაღალმთიანი რეგიონის მცხოვრებლებისთვის მთელ რიგ სოციალურ და საგადასახადო შეღავათებს ითვალისწინებს:

მეწარმე ფიზიკური პირები 10 წლის განმავლობაში საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდებიან, იურიდიულ პირებს კი 10 წლის განმავლობაში ქონებისა და მოგების გადასახადის გადახდა არ მოუწევთ (ფიზიკურ პირებში ნაგულისხმები არიან ის ადამიანები, რომლებსაც ფერმერული მეურნეობა, მაღაზია ან თუნდაც ჰოსტელის ტიპის სასტუმრო აქვთ; იურიდიულ პირებში კი უფრო მსხვილი მეწარმეები იგულისხმებიან).

რაც შეეხება სოციალურ შეღავათებს, პროექტი ასეთ შეღავათებს სთავაზობს მთაში მცხოვრებ პენსიონერებს, ექიმებს, ექთნებსა და პედაგოგებს.

კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით მთაში მუდმივად მცხოვრებ პენსიონერებს პენსია შემდეგი საბიუჯეტო წლიდან 32 ლარით გაეზრდებათ, მაღალმთიანი რეგიონების სამედიცინო ექთნებს უნდა მიეცეთ დანამატი 160 ლარის ოდენობით, ხოლო მაღალმთიან რეგიონში მომუშავე ექიმებს 320 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება პედაგოგების ხელფასებს, მათი სახელფასო დანამატი დაახლოებით 50%-ით უნდა გაიზარდოს, რაც მინიმუმ დამატებით 150 ლარის მომატებას გულისხმობს.

მთის კანონის აღსრულება ხელისუფლებას 60 მილიონ ლარამდე დაუჯდება. აღნიშული თანხა იმ შეღავათების დასაფარად იქნება გამოყენებული, რომელიც, ერთი მხრივ, მთაში მცხოვრებ მოსახლეობას, მეორე მხრივ კი, მთაში არსებულ საწარმოებს ექნებათ.

ხელისუფლება დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით გარკვეული ნაბიჯების გადადგმასაც აპირებს. ყოველ შვილზე მთაში მცხოვრები მოსახლეობა ერთი წლის განმავლობაში 100-ლარიან დახმარებას მიღებს. ასევე საუბარია, რომ წყვილებს, რომლებიც ოჯახს შექმნიან, სახელმწიფო 10 ათასი ლარით დააფინანსებს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი შიშობს, რომ მთის კანონპროექტის განხილვას პარლამენტში სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდება.

„შევთანხმდით საბოლოო ვარიანტზე და ის გაიგზავნა პარლამენტში, სადაც დაიწყება განხილვა. ვშიშობ, რომ იქ სერიოზული წინააღმდეგობა შეგვხდება იმიტომ, რომ პარლამენტარები უფრო მეტს მოითხოვენ, ვიდრე დღეს ქვეყანას შესაძლებლობა აქვს. ჩვენც ვთვლით, რომ გაცილებით მეტია გასაკეთებელი, მაგრამ დღეს ბიუჯეტს არ ექნება ამდენი შესაძლებლობა, თუმცა, თვითონ ტენდენცია იქნება ასეთი, რომ 3 წლის განმავლობაში შევა ეს კანონი ძალაში მთლიანად და თუ პირველ – 2016 წელს – იქნება 12 მილიონი დამატებით გამოყოფილი მთაში მცხოვრები ადამიანებისთვის, შემდეგ ჯერზე ეს იქნება 30 და შემდეგ ხდება 50 მილიონი“, – განაცხადა ჯავახიშვილმა.

გარდა იმ შეღავათებისა, რაც კანონის პროექტშია გაწერილია, მთის მოსახლეობისთვის ისედაც ბევრი რამ კეთდება, მათ შორის არის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც იქ ხორციელდება და დღესაც მიმდინარეობს.

ფინანსთა მინისტრი ნოდარი ხადური კი აღნიშნავს, რომ ეს არის მაღალმთიანი რეგიონების განვითარების მიმართულებით გადადგმული სერიოზული ნაბიჯი, რომელიც კომპლექსური ღონისძიებების ნაკრებია.

„იმედი გვაქვს, რომ კანონი სერიოზულად შეუწყობს ხელს მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას, იქ სამეწარმეო საქმიანობის აღორძინებას. მთა გახდება პირველ ეტაპზე თვითკმარი, იქ მოყვანილი პროდუქცია საკმარისი იქნება, ხოლო შემდეგ დარწმუნებული ვარ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით მოამარაგებს დანარჩენ საქართველოს“, – აღნიშნა ხადურმა.

ექსპერტები ამბობენ, რომ ასეთი მექანიზმები, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებისა და ბიზნესის ხელშეწყობისკენაა მიმართული, ბევრ ქვეყანაში გამოიყენება, მათ შორის, იტალიაში, საფრანგეთში, ალპების ზონაში, ანუ, როცა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტს წარმოადგენს მთის, როგორც კულტურულ-ეკონომიკური ზონის შენარჩუნება.

როგორც ლევან კალანდაძე ამბობს, ამ ინსტრუმენტების ეფექტურობის ხარისხი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის, იმაზე, სახელმწიფო რამდენად იქნება მოტივირებული, მისცეს ამ კანონით გათვალისწინებულ პირობებს განვითარების საშუალება.

„საუბარი იმაზე, რომ ეს ერთ და ორ წელიწადში მთას ააყვავებს ან მთაში მცხოვრები ადამიანებისთვის გახდება ძალიან მიმზიდველი, შეუძლებულია და ეს მოლოდინი არც მაქვს, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია ორი რამ: ერთი, რომ თავად პოლიტიკა იქმნება მთასთან დაკავშირებით და ეს პოლიტიკა უნდა იყოს განვითარებადი და მზრადი“, – აცხადებს ლევან კალანდაძე.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

◎ I ევროპული თამაშები

ფიცის დადების ცერემონია სეოკში

12 ივნისს ბაქოში საზეიმოდ გაიხსნება პირველი ევროპული თამაშები. საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში სპორტსმენთა გაცილების და ფიცის დადების საზეიმო ცერემონია გაიმართა.

„ამ ისტორიულ თამაშებში საქართველო 104 სპორტსმენით წარსდგება. მინდა გითხრათ, რომ ეს ყველაზე დიდი გუნდია მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებლად მონაწილეობს ოლიმპიურ თამაშებში. მსურს წარმატება გისურვოთ ამ ისტორიულ დღეებში. ვიმედოვნებ, თქვენი კარგი გამოსვლით ქართული სპორტის გულშემატკივრები გაიხარებენ“! – განაცხადა სეოკ-ის პრეზიდენტმა, ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ლერი ხაბელოვმა.

„მოგესალმებით ძვირფასო სტუმრებო და სპორტსმენებო. მიხარია, რომ ამ ისტორიულ დღეს თქვენთან ერთად ვარ და ამ სიხარულის თანამონაწილე გახლავართ. ბაქო მზადაა ასეთი მაღალი დონის ტურნირის მისაღებად და ვიმედოვნებ თქვენ, ასევე ყველა სტუმარი ჩვენი მასპინძლობით კმაყოფილი დარჩებით. შეგახსენებთ, რომ ბაქოში სპეციალურად ამ თამაშებისთვის 16 არენა აშენდა, რაც ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებას აზერბაიჯანში და საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას დიდ საერთაშორისო ტურნირებს

უმასპინძლოს სპორტის სხვადასხვა სახეობებში. გისურვებთ წარმატებებს და სამშობლოში მედლებით დაბრუნებას“! – განაცხადა აზერბაიჯანის ელჩმა საქართველოში აზერ ჰუსეინიმ.

საზეიმო ცერემონიალს ქართული სპორტის ქომაგი და მსახიობი კახი კავსაძეც დაესწრო, რომელსაც ამ რამდენიმე დღის წინათ 80 წელი შეუსრულდა. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა ქართველ სპორტსმენთა სახელით იუბილე მიულოცა ბატონ კახის, მან კი, თავის მხრივ, განაცხადა: „სპორტში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ეს თამაშები, რომელსაც ბაქო მასპინძლობს, ძალიან მნიშვნელოვანია. თქვენ, ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, ქართველი სპორტსმენები, ამ თამაშებში ისე უნდა გამოხვიდეთ, ჩვენს ქვეყანას რომ ეკადრება! სულით და გულით გისურვებთ წარმატებას და აბა თქვენ იცით, გაახარეთ ქართველი ერი“!

სპორტსმენთა სახელით ფიცი საქართველოს გუნდის მედროშემ, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილმა წაიკითხა. სტუმრებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესცენტრის მიერ მომზადებული ორი ბროშურა გადაეცათ: „პირველი ევროპული თამაშების ცნობარი“ და „ბაქო 2015 – საქართველოს გუნდი“.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი სპორტსმენები ბაქოში 13 სახეობის 17 დისციპლინაში იასპარეზებენ. ყველაზე მეტი წარმომადგენელი – 37, მძლეოსნებს ჰყავთ, მხატვრულ ტანვარჯიშში, წყალში ხტომასა და კარატეში კი საქართველოს ღირსებას თითო სპორტსმენი დაიცავს. ცნობისათვის: ჩვენი გუნდის 104 წევრიდან 71 ვაჟია, 33 – გოგონა, გუნდის საშუალო ასაკი კი 23,6 წელია.

კობა კობახიძე

◎ ახალი ხილი

„ბათუმმა“ ყვარელშიც იმარჯვა

„ჯინო პარადაიზის“ თასი ბათუმის გუნდმა მოიგო, ხოლო მეორე იყო საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები, რომელიც ახლა ცხრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. ეს შეჯიბრება ივნისის ბოლოს ესპანეთში გაიმართება.

ამჯერად ფინალში ბათუმელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია ქუთაისის გუნდმა. ამის მიუხედავად, ზღვისპირელებმა ორივე სეტი მოიგეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილზე „სამტრედია“ გავიდა, რომელმაც ასეთივე ანგარიშით მასპინძლებს აჯობა.

გოგონათა ტურნირში 4 გუნდი შეიკრიბა. პირველი ეტაპის გამარჯვებულმა და შარშანდელმა ჩემპიონმა „ყვარელმა“ ილიას ტბაზე ფინალი თბილისის „პეგასთან“ წააგო 1:2, თუმცა, ორი ეტაპის ჯამში მაინც ლიდერობს. მესამეზეა „ქარიშხალა“, რომელმაც „მამული“ დაჯაბნა - 2:0.

ორი ეტაპის შემდეგ

კაცები: „ბათუმი“ – 150, „ყვარელი“ – 110, „ქუთაისი“, „სამტრედია“- 100-100, „გორი“ – 90, „რუსთავი“ 50,„იმედი“– 30, „საქართველოს უნივერსიტეტი“ – 10 ქულა.

ქალები. „ყვარელი“ – 50 „პეგასი“ – 40 „ქარიშხალა“ – 20, „მამული“, „ფოთი“ – 10-10 ქულა.

საქართველოს 2015 წლის ჩემპიონი 4 ეტაპის ჯამში გამოვლინდება. ბოლო ორი ტური ზაფხულის ბოლოს ურეკსა და ბათუმში გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: ორი ეტაპის გამარჯვებული „ბათუმი“.

◎ წყალბურთი

ანდრო ბითაძე „ბარსელონაში“ ითამაშებს

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების მოთამაშე ანდრო ბითაძე „ბარსელონაში“ ითამაშებს. 18 წლის წყალბურთელსა და კატალონიურ კლუბს შორის შეთანხმება მიღწეულია, ოფიციალური ხელშეკრულება კი 24 აგვისტოს გაფორმდება.

ბითაძე 1+1 სისტემით კონტრაქტს მოაწერს ხელს და „ბარსელონას“ მთავარ გუნდში გამოვა. მისი მთავარი მწვრთნელ ტონი ესტელერია, რომელიც პარალელურად სლოვაკეთის ნაკრებს ავარჯიშებს. ესპანელი სპეციალისტის მოწონება ბითაძემ ნაკრებში თამაშის დროს დაიმსახურა.

საქართველოს და სლოვაკეთის ნაკრებებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისში ერთად ითამაშეს. ბითაძე გამორჩეული იყო შარშანაც ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზე, რომელიც ასევე თბილისში ჩატარდა. ანდრო ბითაძე ბარსელონამდე მონტენეგროს „იადრანში“ თამაშობდა და ორ-ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი, უფრო ადრე კი სერბულ „ნოვი სადში“ გამოდიოდა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

მანუჩარ მარკოიშვილი ვითიბი ლიგის ჩემპიონია

მანუჩარ მარკოიშვილი ვითიბი ლიგის გამარჯვებულია. არმიელებმა მესამე მატჩიც იოლად მოუგეს რუსეთის სიძლიერით მეორე გუნდს და მრავალეროვანი ლიგის გამარჯვებულნი გახდნენ. სერიის მესამე, ჩემპიონობის მომტანი მატჩი მოსკოველებმა „ხიმკის“ დარბაზში 99:69 მოიგეს.

ცსკა-ს შემადგენლობაში 12-ივე კალათბურთელმა ითამაშა. ოპონენტს იმდენად იოლად ჩაგრავდნენ, არმიელთა მწვრთნელს ტაქტიკის ცვლასა და სწორი შეცვლების გასაკეთებლად ჯაფა არც დასდგომია. ცსკა ძალიან იოლად გახდა ვითიბი ლიგის ჩემპიონი.

გადამწყვეტ მატჩში მარკოიშვილმა 10 წუთი ითამაშა და დროის სიმცირის კვალობაზე საკმაოდ შედეგიანი იყო. ქართველმა უკანახაზელმა 5-დან 3 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამიანი კი ააცილა. საბოლოოდ მანუჩარს 7 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა დაუგროვდა. საუკეთესო შედეგი აარონ ჯექსონმა და მილოშ თეოდოშიჩმა დააფიქსირეს. ამერიკელმა 12 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა, სერბმა – 13 ქულა და 6 პასი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხელბურთი

ქართველთა ნვლილი

ევროპულ ქვეყნებში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატები, რომლებშიც წარმატებით ითამაშეს საქართველოს ნაკრების წევრებმა. ჩვენებურთაგან განსაკუთრებით გამოიჩინეს

თავი სერგო დათუკაშვილმა და რევაზ ჭანტურიამ. დათუკაშვილი ნოვი სადის „ვოივოდინას“ სპორტულ ღირსებას იცავს. მისმა გუნდმა სერბეთის ჩემპიონობის შემდეგ ქვეყნის თასის ფინალში 34:23 დაამარცხა „სპარტაკ ვოიპუტი“ და მთავარი პრიზიც დაიმსახურა. დათუკაშვილმა სეზონის ბოლო ნაწილი ტრავმის გამო გამოტოვა.

მაკედონიის ჩემპიონატში რევაზ ჭანტურიას „ზომიმაკ-სტრუმიცამ“ ვერცხლის მედალი ირგუნა. რეზომ და მისმა თანაგუნდელებმა შარშანდელთან შედარებით ნაბიჯი გადადგეს წინ. გადამწყვეტი გამოდგა მეორე მატჩი სკოპიეს „მეტალურგთან“, რომელიც „სტრუმიცამ“ საკუთარ მოედანზე 21:20 მოიგო. ჭანტურიამ ამ პაექრობაში შვიდი შვიდმეტრიანი გაიტანა, სულ კი 9 გოლით გამოირჩა. „სტრუმიცამ“ და „მეტალურგმა“ 21-21 ქულა მოაგროვეს, პირად მატჩებში სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით კი „ზომიმაკმა“ აჯობა მეტოქეს (21:20, 21:22). შედეგად, ჭანტურიას კლუბმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ლიგაში (SEHA ლიგა) თამაშის უფლებაც მოიპოვა.

სახელბურთო სეზონი დასრულდა რუმინეთშიც. ნაციონალურ ლიგაში დასარჩენ ტურნირში ირაკლი ჩიქოვანის „ტიმიშოარამ“ პირველი ადგილი დაიკავა და სეზონი მეცხრე საფეხურზე დაასრულა. ევროპული ჩელენჯ კაპის მოპოვების შემდეგ შოთა თევზაძისა და ვლადიმერ რუსიას „ოდორჰეიმ“ V-VIII ადგილების პლეი ოფში 0:2 წააგო „კონსტანცასთან“, ხოლო „ბაკეუს“ 2:0 მოუგო და მეშვიდე ადგილზე გავიდა.

გივი გაგუა

სურათზე: უტევს რევაზ ჭანტურია.

◎ თაობა

ვამბობთ პოლიციას, ვგულისხმობთ სპორტს

შსს-ს აკადემიაში, პოლიციელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ნახატების და ესეების სასკოლო კონკურსის და საფეხბურთო ტურნირის გამარჯვებულების დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ესეების სასკოლო კონკურსში „პოლიციელი თვალსაჩინო მოქალაქე“ ოცი საუკეთესო ესეს ავტორი გამოვლინდა, ხოლო ნახატების კონკურსში „ჩემი მეგობარი პოლიციელი“ - ოცი საუკეთესო ნახატის ავტორი, რომლებსაც შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ნინო გიორგობიანმა, შსს-ს აკადემიის რექტორმა ნუკრი გელაშვილმა, საქართველოს სასკოლო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა გია ბეგიაშვილმა და ვეტერანმა ფეხბურთელმა არჩილ სახვაძემ სიგელები გადასცეს. აღნიშნული კონკურსი საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით და ორგანიზებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით ჩატარდა. აკადემიაში მოეწყო საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა.

ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა პოლიციელის დღისადმი მიძღვნილი ღია პირველობა მინიფეხბურთში „პოლიციის თასი“, რომელშიც თბილისის საჯარო და კერძო სკოლების 50-ზე მეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. საპრიზო ადგილები თბილისის 208-ე, მე-60, 22-ე და 99-ე საჯარო სკოლების გუნდებმა დაიკავეს. პირველ ადგილზე გასულ 208-ე სკოლის მოსწავლეებს „პოლიციის თასი“ შსს-ს აკადემიის რექტორმა ნუკრი გელაშვილმა გადასცა;

მეორე ადგილზე გასული მე-60 სკოლის გუნდი საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გია ბეგიაშვილმა, ხოლო მესამე ადგილზე გასული 22-ე სკოლის გუნდი საქართველოს ჩემპიონი საკალათბურთო გუნდის „შსს აკადემიის“ წევრებმა რევაზ როგავამ და აკაკი ლომოურმა თასებით დაჯილდოვეს. საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა გლდანი-ნაძალადევის გამგეობის და საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებმაც მიიღეს. შსს-ს აკადემიის მესვეურებმა ტურნირში მონაწილე სკოლის მოსწავლეებს პრეზენტაცია მოუწყვეს და აკადემიაში არსებული სასწავლო პროგრამების შინაარსი გააცნეს, აგრეთვე სტუმრებს აკადემიის ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინეს.

გიორგი შოთაძე

თავდაცვის სამინისტრომ სახელმწიფო დროშები დაუშვა

კაპრალ რამაზ დავითაიას გარდაცვალების გამო, თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებსა და მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე სახელმწიფო დროშები დაუშვეს.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ISAF-ის მისიაში დაჭრილი კაპრალ რამაზ დავითაიას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. სამშობლოსთვის თავდადებული მებრძოლი, კაპრალი დავითაია გორის სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა. იგი მე-2 ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის შემადგენლობაში, ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში ასრულებდა მისიას. 2012 წლის 20 ივნისს ქართველი სამხედრო მოსამსახურე პატრულირების დროს მძიმედ დაიჭრა“, — აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, რამაზ დავითაია შეიარაღებულ ძალებში 2007 წლის 26 ივნისიდან ირიცხებოდა. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით, მედლით „სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის“ და უწყებრივი მედლით „საბრძოლო იარისათვის“.

ნახევარ მილიონ ლარს დაზოგავს

უწყებებმა შემცირებული ხარჯები მთავრობის მეთაურს 10 ივნისამდე უნდა წარუდგინონ. როგორც თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, ამ საკითხზე საუბარი მთავრობის პირველივე სხდომაზე იქნება.

„სიმართლე გითხრათ, ჯერ არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ უკვე დაასრულეს ამ თემაზე სამუშაოები. თავდაცვის სამინისტრომ აიღო ვალდებულება, თუკი არის ბიუჯეტში რაიმე გაწერილი ისეთი ტიპის, რომელსაც მაინცდამაინც არ ვიზიარებდი ხოლმე — ახალი მანქანების, რბილი ავეჯის შეძენას ან რაიმე მსგავსს, ამას რა თქმა უნდა მოვჭრით, ამას ისედაც მოვჭრიდით, უბრალოდ სხვა რამეზე შეიძლებოდა გამოყენება. თუმცა, რადგან საუბარია ბიუჯეტის კორექტირებაზე, მზად ვართ ამისთვის“, — აღნიშნა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, სხვა არანაირი მოთხოვნა ან დავალება თავდაცვის სამინისტროსადმი არ ყოფილა.

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ნოე (ნოდარ) ჯიქია



საქართველოს კომუნიკაციების სფეროში დღეს მომუშავე და საპატიო პენსიაზე მყოფმა ადამიანებმა უდიდესი დანაკლისი განიცადეს. მარადიულ სასუფეველში წავიდა შესანიშნავი პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი, ქვეყნის დამსახურებული და ვეტერანი მუშაკი, თავის საქმეში გამორჩეული სპეციალისტი და აღიარებული ხელმძღვანელი **ნოე (ნოდარ) ჯიქია**. იგი გახლდათ კეთილშობილი, თავმდაბალი, პრინციპული, ჭეშმარიტად პროფესიონალი, საუცხოო მეგობარი, ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი.

ნოე ჯიქია დაიბადა 1932 წლის 5 იანვარს ჩოხატაურის რაიონის სოფელ გუთურში. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ელექტროკავშირგაბმულობის ტექნიკუმი და უგამოცდოდ ჩაირიცხა ოდესის ელექტროკავშირგაბმულობის ინსტიტუტში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1959 წელს. მუშაობას იწყებს ქ.თბილისის სატელეფონო ქსელში სხვადასხვა თანამდებობებზე, სადაც, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტმა გამოავლინა სათანადო ცოდნა და უნარი, რის შედეგადაც იგი 1973 წელს გადაყვანილ იქნა საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროში ჯერ სატელეფონო ქსელის განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდგომ განყოფილების უფროსად, ხოლო 1974 წლიდან 1992 წლამდე უძღვებოდა სამინისტროს ერთერთ უდიდეს და მეტად მნიშვნელოვან უბანს — ქალაქისა და სოფლის სატელეფონო ქსელის სამმართველოს. ამავე პერიოდში ნოე ჯიქია იყო სამინისტროს ხელმძღვანელი ორგანოს კოლეგიის წევრი.

ნოე ჯიქია ძირითად საქმიანობასთან ერთად ეწეოდა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეს ჯერ ელექტროკავშირგაბმულობის ტექნიკუმში, შემდგომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1986 წელს დაამთავრა ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის აკადემიის სრული კურსი. 1992 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე და საცხოვრებლად დაუბრუნდა მშობლიურ კერას სოფ. გუთურში. მუშაობა გაგრძელა კავშირგაბმულობის ჩოხატაურის ფილიალში.

დიდია ნოე ჯიქიას დამსახურება კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარება-სრულყოფის საქმეში. მისი ღვაწლი და განვლილი დიდი გზა სათანადოდ იქნა დაფასებული ქვეყნის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ. იგი დაჯილდოებულია რამდენიმე ორდენითა და მედლით.

აღსანიშნავია, რომ ნოე ჯიქია ყოველთვის გამოირჩეოდა როგორც კარგი სპეციალისტი, ყველასათვის საყვარელი და უახლოესი მეგობარი, დიდი იუმორის მოყვარული და რაც მთავარია, სისტემაში აღიარებული და უცვლელი თამადა. პენსიაზე ყოფნის პერიოდში იგი შესანიშნავად უძღვებოდა ბაზიერთა საქმიანობას, და რამდენჯერმე იქნა გამარჯვებული რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. მისი ავტორობით რამდენიმე სქელტანიანი წიგნი იქნა გამოცემული ქართულ სადღეგრძელოებზე და ბაზიერთა საქმიანობაზე.

სიცოცხლის ხანგრძლივ პერიოდში ნოე ჯიქიამ შექმნა დიდი და საამაყო ოჯახი. დღეს მას დასტირიან მეუღლე, შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. დიდი დანაკლისია დარგის მუშაკებისა და მეგობრებისათვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს სამუდამო სასუფეველში ნოე (ნოდარ) ჯიქია. იგი მარად დაუვიწყარი იქნება მისი ოჯახის, ახლობლებისა და სამეგობროსათვის.

უახლოესი მეგობრები

ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, მამია სულაბერიძე, რემი გველესიანი, დარეჯან ჭარბაძე, ნანა ღიბრაძე, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ღოღობერიძე, ნანა შარაშენიძე, იზო გოცირიძე, სვეტლანა ელბაქიძე, პავლე გიორგობიანი, გენადი შეროზია, დემურ ინჯია, შოთა კოლელიშვილი, ნუგზარ კვიკვინია, ვახტანგ ამაშუკელი, კოტე სამუშია, ტარიელ იაშვილი, ავთანდილ დარახველიძე.

ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

გელათის სამონასტრო კომპლექსთან საპროტესტო აქცია გაიმართა

აქციის მონაწილეები ვიზიტორთათვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით დაწყებულ სამუშაოებს აპროტესტებენ.

აქციის მონაწილეებს ზესტაფონიდან ჩასული მორწმუნეებიც შეუერთნენ. მათი განცხადებით, ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა სიწმინდეების ხელყოფასა და ქართველთა მეფის დავით აღმაშენებლის ხსოვნას შეურაცხყოფს. მრევლი აცხადებს, რომ ვიზიტორთა ცენ-

ტრის მშენებლობა უცხოელების მომრავლებას შეუწყობს ხელს, რაც მათთვის მიუღებელია.

აქციის მონაწილეები კულტურის მინისტრს მოუწოდებენ, დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში მინისტრს კაბინეტის აჭედვით ემუქრებიან.

ქუთაისში ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება

ქუთაისის მერი შოთა მურღულია სამუშაოების დასათვალიერებლად დავით და კონსტანტინეს სახელობის ქუჩაზე მივიდა. აღნიშნულ ქუჩაზე გზის ქვაფენილის მოპირკეთების გარდა, წყლის სანიაღვრეები და ტროტუარებიც კაპიტალურად კეთდება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „გზა 21“ ასრულებს.

დავით და კონსტანტინეს სახელობის ქუჩაზე სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან 259 000 ლარით ფინანსდება. აღნიშნული ქუჩის მოწესრიგება აუცილებელი იყო ტურისტული თვასაზრისითაც, ვინაიდან ქუჩა წარმოადგენს ისტორიულ ნაწილს, სადაც უამარვ უცხოელს უწევს გადაადგილება სხვადასხვა სასტუმროებში. სამუშაოები მარტის თვეში დაიწყო და თვის ბოლოს დასრულდება.

ხევსურეთში დაკარგული მწყემსის მოძებნა ვერ ხერხდება

როგორც მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ნუგზარ ყიფიანმა განაცხადა, სამძებრო სამუშაოების გასაგრძელებლად აუცილებელია ტექნიკის შეყვანა, რამაც შესაძლოა დამატებით საფრთხე გამოიწვიოს.

„გეოლოგიური დასკვნაა საჭირო, რადგან ტექნიკის შეყვანის შემთხვევაში შესაძლოა მეწყრის განმეორების საფრთხე დადგეს და შესაძლოა დამატებითი პრობლემები შეიქმნას. აქედან გამომდინარე, ველოდებით დასკვნას და დასკვნის შემდეგ სამძებრო სამუშაოებს გავარძელებთ“, — განაცხადა ყიფიანმა.

პირიქითა ხევსურეთში, შატილის თემის სოფელ ხონისჭალაში, მდინარე ანზაკის ხეობაში მეწყრული პროცესები ერთი კვირის წინ გააქტიურდა. მეწყრის შედეგად დაიკარგა ერთი მწყემსი, ასევე 500 სული ცხვარი და 50 სული საქონელი.

შსს-მ 12 შეკვრა ჰეროინი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1973 წელს დაბადებული ლევან ს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 12 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, 0,125 გრ ე.წ. „ბიო“ და „მეტადონის“ აბის ნატეხი ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ტელეკომუნიკაციის კომპანიების „ახალი ქსელების“, „ახტელის“, „სისტემნეტის“ და „ფოპტნეტის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკი

ნოე (ნოდარ) რაფიელის ძე ჯიქია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ფრდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, თემურ ღოღობერიძე, ვახტანგ თოდუა, კოტე სამუშია, დემური ინჯია, ნუგზარ კვიკვინია, შოთა კოლელიშვილი, ვახტანგ ამაშუკელი, სვეტლანა ელბაქიძე, მამია სულაბერიძე, რემი გველესიანი, პავლე გიორგობიანი, რეზო სახოკია, გენო შეროზია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკი

ნოე (ნოდარ) რაფიელის ძე ჯიქია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

გარდაიცვალა

თეიმურაზ (თემურ) ჭელიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკი, ნიჭიერი და ღირსეული ქართველი მამულიშვილი, სიკეთით სავსე, ნათელღიმილიანი, უანგარო და უღალატო მეგობარი.

ჩვენო თემო, სანამ ცოცხალი ვიქნებით, არ მოიშლება შენი ხსოვნა ჩვენში. ნათელში გამყოფოს უფალმა.

თქვენი მრავალრიცხოვანი მეგობრების სახელით
თამაზ კუნჭულია, შოთა კიკალიშვილი, იმარ კაჭარავა.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კლინიკის ყოფილი თანამშრომელი, ექიმი მეან-გინეკოლოგი, სათნო და კეთილი ადამიანი, ღირსეული ოჯახის შვილი და დედა, გულისხმიერი მეგობარი

ქეთინო ბულია-ზედგენიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კავშირ „საზოგადოება ცოდნის“ თანამშრომლები და პროფესორ-მასწავლებლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ პროფესორ ლალი მიქაიას შვილის

გიორგი ლეკიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

კავშირ „საზოგადოება ცოდნის“ თანამშრომლები და პროფესორ-მასწავლებლები მწუხარებას გამოთქვამენ პაატა ბაქრაძის მამის, ღვაწლმოსილი აკადემიკოსის

ნოდარ ბაქრაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

◎ გამოფენა

„ჩემი სულის ფერები...“

სახვითი ხელოვნების უამრავი ტრფიალი, ახლობელი და მეგობარი დაესწრო 5 ივნისს გალერეა AKHUNDOV HOUSE-ში გახსნილ ნიჭიერი თვითნასწავლი მხატვრის რუსუდან ზვიადაძის ნამუშევართა პერსონალურ გამოფენას, რომელსაც ავტორმა „ჩემი სულის ფერები...“ დაარქვა.

მხატვრობა ქალბატონი რუსუდანის დიდი ხნის გატაცებაა, რომელიც წლების მანძილზე მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია. მხატვრის საგამოფენო დებიუტი წლეულს აპრილში, მსოფლიო ხელოვნების აღიარებულ დედაქალაქში პარიზში შედგა,

სადაც მისი ნამუშევრები კიდევ რამდენიმე ქართველი მხატვარი ქალის ტილოებთან ერთად იყო წარმოდგენილი. სწორედ ამ გამოფენის წარმატებამ და კარგმა გამოხმაურებებმა განაპირობა თბილისში მისი პირველი პერსონალური გამოფენის მოწყობა.

საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი დაახლოებით ორმოცი ზეთის საღებავით შესრულებული სურათი ქალური სინატიფით, ხასხასა თამამი ფერებითაა გამორჩეული, რომელთა მეშვეობით მხატვარი საკუთარ სათქმელს გვიამბობს, სულიერი განწყობის სხვადასხვა ნიუანსს გადმოგვცემს.

— ხატვა ბავშვობიდან მიყვარდა, ჩემთვის ეს სამყაროს შეცნობის საშუალება იყო. გავიდა დრო და ჩემს ცხოვრებაში დიდი სიყვარული მოვიდა მეუღლისა და შვილის სახით. მათთვის ვცხოვრობდი და მათთვის ვხატავდი. ბევრს ვმოგზაურობდით ერთად, რა დროსაც მსოფლიოს მრავალი მხატვრული შედევრი ვნახე. განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩემზე მაინც იმპრესიონისტთა ნამუშევრებმა მოახდინეს. მხატვარ ლელა გელეიშვილის დახმარებით კი ზეთის საღებავებმა შეუძლებელი შემაძლებინა, — მადლიერებით ამბობს ქალბატონი რუსუდანი.

მისი ნამუშევრების გამოფენა AKHUNDOV HOUSE-ში 11 ივნისამდე გასტანს.

ოთარ ტურაბელიძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

◎ კრიმინალი

დაკავებულია დეპუტატის პირადი ნივთების ქურდობისთვის

შსს-ს ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული გიორგი ნ. დეპუტატ გიორგი კანდელაკის გაქურდვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა 8 ივნისს დღის საათებში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, გიორგი კანდელაკს მისი კუთვნილი „ნისანის“ მარკის ავტომობილის სალონიდან „ეფლის“ ფირმის პორტატული კომპიუტერი და პირადი დოკუმენტები მოჰპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა გიორგი ნ. მომხდარიდან რამდენიმე საათში ცხელ კვალზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დაზარალებულის კუთვნილი კომპიუტერი და პირადი საბუთები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

აღმოაჩინეს აკრძალული მედიკამენტი

მებაჟე ოფიცრებმა მგზავრის ბარგში აკრძალული მედიკამენტი აღმოაჩინეს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა 8 ივნისს, საბაჟო გამშვები პუნქტის „მტკვრის“ ტერიტორიაზე, ეჭვის საფუძველზე დაათვალიერეს აზერბაიჯანის მხრიდან შემოსული საქართველოს მოქალაქე ბ.მ.-ის ხელბარგი და მასში 16 აბი „სედალგინი“ აღმოაჩინეს“.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. 1 კვ.მ. — 120$, ორ ნაწილად გაყოფისას — ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

გუშინ ჯინსები გავრეცხე. ახლა მაქვს სუფთა ჯინსები, სუფთა ტელეფონი და ფულის გარეცხვის მცირე გამოცდილებაც.

* * *

— უფალო.

— რაო, ადამ?

— აიღე კიდევ ერთი ჩემი ნეკნი, მაგრამ ამჯერად უფრო ადეკვატური შექმენი მისგან.

* * *

ამ ბოლო ხანს ძალიან იშვიათად ვნახულობ სიზმრებს.

როგორც ჩანს, ისე ცოტა მძინავს, რომ ისინი ჩატვირთვას ვერ ასწრებენ.

* * *

— თქვენ ხომ ექიმი ხართ, მითხარით, როგორ ვუმკურნალო ჭიებს?

— რა სჭირთ მათ? ავადმყოფობენ?

* * *

— თქვენ წერდით: „მე ქართველებში ქართველი ვარ, რუსებში — რუსი“. სულელთა შორის ვინ იქნებით? — შეეკითხნენ მაიაკოვსკის.

— სულელთა შორის პირველად ვარ, — არ დაიბნა მაიაკოვსკი.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24